განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება
ხაშურის მუნიციპალიტეტის N19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება);

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| --- |
| თავმჯდომარე: |
| ხარისხის ექსპერტი: *მიმოზა ღოლიჯაშვილი* |
| წევრები: |
| კურიკულუმის ექსპერტი: ***თამარ ლომიძე*** |
| კვების დარგში ექსპერტი: ***სალომე ბოჭორიშვილი*** |
| სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ***თამარ ჭონიშვილი*** |

## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 443861750 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | ხაშურის მუნიციპალიტეტის N19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება); |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ხაშურის მუნიციპალიტეტი, ქ. ხაშური, ჟორდანიას ქ. № 3; |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ხაშური, სურამი; |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | 18/04/2026 MES 2 26 0000449615 |
| ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)* | 29.04.2026-30.04.2026 |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)** | |
|---|---|
| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
| | |

| **6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ** |
|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' 2-იდან 6 წლამდე | ქართული | | 43<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ რეკოემნდირებულია პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრულ რაოდენობად განისაზღვროს **200 ადგილი;**<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

2026 წლის 29 და 30 აპროლს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან არსებულ ხაშურის მუნიციპალიტეტის N19 საბავშვო ბაღი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 443861750). დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა კეთილგანწყობილ გარემოში, რაც ხელს უწყობდა კონსტრუქციულ დიალოგსა და პროცესის ეფექტიან წარმართვას. დაწესებულებაში ვიზიტისას დაფიქსირდა შემდეგი ვითარება: დაწესებულებამ თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა **43 ბავშვი,** თუმცა ვიზიტის დროს და გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალი ბაღი აშენებულია 200 აღსაზრდლეზე, შესყიდვები (მაგ. კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი, ჭურჭული ბავშვებისთვის და სხვა)

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

განხორციელებულია 200 ბავშვის საჭიროებაზე და შესაბამისად დაწესებულება ითხოვს ავტორიზაციის მოპოვებას 200 აღსაზრდელზე; ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების დოკუმენტაციისა და ინფრასტრუქტურის შესწავლა **200 აღსაზრდელზე** გათვლილი გამტარუნარიანობის გათვალისწინებით დაიწყო; შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ახალი შენობა, სადაც დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვებას გეგმავს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება ახალი ინფრასტრუქტურის მზადყოფნას, რათა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება ის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს; დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რესურსი, ასევე დოკუმენტაციის წარმოება და დღის წერიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი. გამოიკვეთა როგორც ძლიერი მხარეები, ასევე გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

შეფასებისას განსხვავებული ხედვები დაფიქსირდა რამდენიმე კომპონენტში/სტანდარტში, სადაც დაწესებულების თვითშეფასება და ექსპერტთა შეფასება არ დაემთხვა ერთმანეთს. კერძოდ:

**ავტორიზაციის II სტანდარტი:**

**2.1 კურიკულუმის დაგეგმვა: დაწესებულების თვითშეფასებით შეესაბამება, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით არ შეესაბამება. კერძოდ:2.1.1.-ის 1;**

**2.2.** კურიკულუმის განხორციელება: დაწესებულების თვითშეფასებით **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება. კერძოდ: 2.2.1 -ის 1,** 2, 3, 4, 6 **; 2.2.2 -ის** 2 ;2; **2.2.4.-ის** 1 **კომპონენტებში;**

**2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება დაწესებულების თვითშეფასებით შეესაბამება, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით არ შეესაბამება. კერძოდ: 2.3.1. -1 კომპონენტი;**

**ავტორიზაციის III სტანდარტი:**

**3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა დაწესებულების თვითშეფასებით შეესაბამება, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით არ შეესაბამება. კერძოდ:3.1.1 ის 1 კომპონენტი;**

**ავტორიზაციის IV სტანდარტი:**

**4.** სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა: დაწესებულების თვითშეფასებით **მეტწილად შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება. კერძოდ:**

**4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **მეტწილად შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.** კერძოდ: **4.1.1. -ის** კომონენტი **1, 4;**

**4.2. პროცესების მართვა** დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება. კერძოდ: 4.2.1.** კომპონენტი **4;**

**4.3.** მატერიალური რესურსი დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **მეტწილად შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.**

**4.4.** კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი შეფასება დაწესებულების თვითშეფასებით **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.**

**4.5.** სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შეფასება: დაწესებულების თვითშეფასებით **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება.**

**4.6.** ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება დაწესებულების თვითშეფასებით **მეტწილად შეესაბამება, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით არ შეესაბამება.** კერძოდ: **4.6.1. -ის** კომპონენტი **2, 3; 4.6.2.-ის 1,5;**

**4.7**.ფინანსური რესურსი დაწესებულების თვითშეფასებით შეფასდა **შეესაბამება,** ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **არ შეესაბამება. კერძოდ: 4.7.1. -ის** კომპონენტი **2, 3;**

## 8.საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................

9.წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>*(პროგრამის სახე)*<br>*„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა“*<br>*(კურიკულუმის დასახელება)*<br>ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში,,<br>2-დან 6 წლამდე“ | | |
|---|---|---|
| 2. კურიკულუმი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება** | **☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება** | **☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☒ არ შესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ **არ შეესაბამება** |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას **მისია** წარმოდგენილი აქვს დოკუმენტით: „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი", რომელიც დამტკიცებულია ა(ა) იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების-მმართველის 19.05.2025 წლის №ბ32.8425139001 ბრძანებით; ორგანიზაციის **მისია** ჟღერს შემდეგნაირად: „დაწესებულების მისიაა, სოციალურად ჯანსაღ, თავისუფალ გარემოში უზრუნველვყოთ ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება,მაღალი თვითშეფასების მქონე, კრეატიულად მოაზროვნე , შემოქმედებითი, დამოუკიდებელი ბავშვების აღზრდა მშობლებთან და თემთან ჰარმონიული ურთიერთობით." წარმოდგენილ მისიაში ხაზგასმულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრიორიტეტულობა და დაწესებულების, როგორც კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცის, როლი.

ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის N19 საბავშვო ბაღის მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები და წარმოდგენილია დოკუმენტით: „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების-მმართველის 19.05.2025 წლის №ბ32.8425139001 ბრძანებით და ასევე წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლების სტრატეგიაში;
**დაწესებულების ხედვაა:** „ დაწესებულებამ იმოქმედოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალიწინებით და 2030 წლისთვის საბავშვო ბაღების 90 %-მა შეძლოს ავტორიზაციის გავლა.“

**დაწესებულების ღირებულებებია:**

- ✓ გუნდური მუშაობა-დაწესებულების პერსონალის და მშობლების გუნდურობა ურთირთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები;
- ✓ პროფესიონალიზმი - უზრუნველვყოთ პერსონსლის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება;
- ✓ ინოვაცია - სიახლეების გაზიარება და პრაქტიკაში დანერგვა;
- ✓ ბავშვის უფლებების დაცვაზე ზრუნვა.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. წარმოდგენილი ხედვა და ღირებულებები ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და ინსტიტუციურ განვითარებაზე, რაც გულისხმობს ხარისხიანი საგანმანათლებლო სტანდარტების დამკვიდრებასა და ავტორიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელებას. დოკუმენტში ხაზგასმულია გუნდურობის პრინციპი, რომელიც ეფუძნება პერსონალსა და მშობლებს შორის ურთიერთპატივისცემას, ხოლო პროფესიონალიზმისა და ინოვაციებისკენ სწრაფვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანამედროვე მიდგომების დანერგვასა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

..........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................

### რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

**სასურველია**, ხედვა შინაარსობრივად უფრო მეტად იყოს თანხვედრაში სტანდარტის ინდიკატორების მოთხოვნებთან; კერძოდ, მასში აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ იმ თვისებრივ მახასიათებლებზე, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, დაწესებულების გრძელვადიან განვითარებასა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს მდგრადობას.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში სტრატეგიული მართვის პროცესი რეგულირდება „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესით“, რომელიც დამტკიცებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების — საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 19 მაისის №ბ 32.8425139001 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ სტაბილურობასა და დაწესებულების განვითარებაზე ორიენტირებულობას. დასახელებული წესის მე-7 მუხლის (*პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი*) შესაბამისად, დოკუმენტის შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეები, კერძოდ:სამუშაო ჯგუფის წევრები არიან:

ა) გაერთიანების წარმომადგენლ(ებ)ი;
ბ) გაერთიანებაში შემავალი ბაღების წარმომადგენლები;
გ) მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
დ) თემის წარმომადგენელი;
ე) ორგანიზაციის/დონორის წარმომადგენელი, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ბაღს;
ვ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი

საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის სხდომებში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობის მიღების მიზნით, შესაძლებელია, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა.

„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ის თანახმად  მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით:

ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება;
ბ) პროექტების გაზიარება ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული დაინტერესებული მხარეებისათვის;
გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;
დ) მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება;
ე) შემუშავებული განაცხადების წარდგენა საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველთან.
ვ) საბავშვო ბაღის გაერთიანების მმართველის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების მოწონების შემთხვევაში, განაცხადების გამოქვეყნება ბაღის ფეისბუქ გვერდზე. საბავშვო ბაღების მმართველი უფლებამოსილია შემუშავებული განაცხადები უკან დაუბრუნოს სამუშაო ჯგუფს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული განაცხადების წარდგენის ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო დღით

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების პერსონალი ჩართული იყო მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში, რაც დასტურდება შეხვედრის ამსახველი ფოტომასალით და ოქმებით;

ამრიგად, მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

**სასურველია** დაწესებულებამ გაითვალისწინოს: მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში უფრო აქტიურად მონაწილეობდეს დაწესებულების პერსონალი,  ასევ სხვა დაინტერესებული მხარეები, მაგალითად მშობლები, როგორც საბავშვო ბაღის მნიშვნელოვანი რგოლი, რათა დოკუმენტები სრულად ასახავდეს საზოგადოების საჭიროებებს, უზრუნველყოს თანამშრომლობისა და ურთიერთპასუხისმგებლობის კულტურა და გააძლიეროს ბაღს, ოჯახსს და თემს შორის პარტნიორობა.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესით“, რომელიც დამტკიცებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 19. 05. 2025 წლის № ბ 32. 8425139001 ბრძანებით, რეგულირდება მისია, ხედვა ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობის მექანიზმი; ამ დოკუმენტის ( მუხლი **8.** მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი) თანახმად მკაფიოდ არის რეგლამენტირებული შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარების პროცედურა. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობასა და სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას განვითარების პროცესში; კერძოდ: (მუხლი **6.** დოკუმენტების გაზიარება) ეფექტური კომუნიკაციისთვის დაწესებულება იყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს:

ა)დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;

ბ)სოციალური მედია; ( facebook )

გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ)

დ) ბეჭდვითი მასალები (ფლაერები, ბანერები და ა.შ)

ე) საინფორმაციო დაფა

გარდა ამისა დოკუმენტში იკითხება, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, გარდა ამ წესით მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებისა, გამოიყენება შემდეგი გაზიარების მექანიზმები:

ა)მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდურ მასალებში და საბავშვო ბაღების გაერთიანების სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში;

ბ) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება გაერთიანების/ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე;

გ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება გაერთიანებაში/ბაღებში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება გაერთიანების/ბაღის მიერ.

დაწესებულებაში განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების მრავალფეროვნება (როგორც ადმინისტრაციული, ისე საჯარო პლატფორმები) ადასტურებს, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების პროცესი არის სისტემური. მრავალმხრივი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება მინიმუმამდე ამცირებს ინფორმაციულ ბარიერებს და ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

- ✓ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ დამტკიცებული ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 19.05.2025 წლის №ბ32.8425139001 ბრძანებით;
- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025-2030 წლების სტრატეგია;
- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის  დამტკიცების შესახებ 08.05.2025 წლის ბრძანება №ბ32.84251282;

- ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 26.03.2025 წლის ბრძანება № ბ32.8425085001 ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესის შესრულების მიზნით (მისა, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამქომედო გეგმის შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება და სხვა) სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 26.03.2025 წლის ბრძანება № ბ32.8425085001 ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესის შესრულების მიზნით (მისა, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამქომედო გეგმის შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება და სხვა) სამუშაო ჯგუფის შექმნის ცვლილების შესახებ 30.04.2026 წლის ბრძანება № ბ32.84261202;
- ფოტო მასალა;
- ინტერვიუს შედეგები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1.** დაწესებულების მისია | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. აღნიშნული პროცესი რეგულირდება „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 19. 05. 20 25 წლის № ბ 32. 8425139001 ბრძანებით, რომლის (თავი **5.** სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესის საკვანძო პრინციპები) თანახმად : საბავშვო ბაღების გაერთიანება სტრატეგიული დაგეგმვისას ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს:

1. თანამონაწილეობა - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვითა და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით.
2. დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება - საბავშვო ბაღების გაერთიანება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეებს ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.
3. გამჭვირვალობა - საბავშვო ბაღების გაერთიანება სტრატეგიული დაგეგმვის და მისი განხორციელების პროცესში მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას.
4. ანგარიშვალდებულება - საბავშვო ბაღების გაერთიანება ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2.5 წელიწადში სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას ბაღის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ ( მუხლი **10.** სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია ) საფუძველზე იკვეთება, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ორიენტირებულია ბაღების გაერთიანების განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და ინსტიტუციური პრიორიტეტების განსაზღვრაზე, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ორგანიზაციის მისიის ეფექტიან რეალიზებას. სტრატეგიული დაგეგმვის ციკლი მოიცავს არანაკლებ ხუთწლიან პერიოდს, ხოლო უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, ახალ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი დოკუმენტის ვადის გასვლამდე 4-6 თვით ადრე. დაგეგმვის საწყის ეტაპზე ხორციელდება კომპლექსური სიტუაციური ანალიზი, რომელიც ეყრდნობა როგორც შიდა რესურსებს — მათ შორის თვითშეფასებას, სტატისტიკურ მონაცემებსა და დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირს, ისე გარე ფაქტორებს, როგორიცაა საკანონმდებლო ცვლილებები, დარგობრივი ანგარიშები და მუნიციპალური განვითარების პრიორიტეტები. დაწესებულება აქტიურად იყენებს SWOT მეთოდოლოგიას, რაც იძლევა ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების სიღრმისეული შეფასების საშუალებას. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ყალიბდება სტრატეგიული გეგმის პროექტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიული მიზნები და მათი მიღწევისათვის აუცილებელი ამოცანები. ამასთან, დოკუმენტი ითვალისწინებს მოქნილობის მექანიზმს, რაც შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში იძლევა მოქმედ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

..;……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია, სტრატეგიული განვითარების გეგმა იყოს დაწესებულების რეალურ საჭიროებებზე მორგებული, მრავალფეროვანი და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული დოკუმენტი. იგი უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ ფორმალურ ჩანაწერს, არამედ პრაქტიკულ გზამკვლევს, სადაც ხუთწლიან ჭრილში მკაფიოდ იქნება გაწერილი განვითარების თითოეული ეტაპი. მნიშვნელოვანია, რომ გეგმა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას პასუხისმგებელი პირების, შესრულების ვადებისა და იმ ფინანსური თუ ადამიანური რესურსების შესახებ, რაც აუცილებელია დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. დოკუმენტის ვალიდურობისთვის აუცილებელია მასში გათვალისწინებული იყოს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და მონიტორინგის სისტემა, რაც საშუალებას მისცემს სამუშაო ჯგუფს, პერიოდულად შეაფასოს მიღწეული პროგრესი და, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს მასში ადეკვატური ცვლილებები. სტრატეგიული გეგმა არ უნდა იყოს მხოლოდ სტატიკური, არამედ სასურველია, სტრატეგია ფოკუსირებული იყოს როგორც ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებაზე, ისე საგანმანათლებლო ხარისხის ამაღლებასა და პერსონალის პროფესიულ მხარდაჭერაზე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგიული მართვის პროცესი ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ და სამართლებრივ ჩარჩოს. კერძოდ, „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი“ დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 19.05.2025 წლის №ბ32.8425139001 ბრძანებით (მუხლი **10.** სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია), რაც უზრუნველყოფს პროცესის ვალიდურობასა და ინსტიტუციურ მოწესრიგებას. ექსპერტების აზრით, სააგენტოს

სტრატეგიული განვითარების მოდელი ხასიათდება მდგრადი ციკლურობით — დაგეგმვის პროცესი ხორციელდება არანაკლებ ხუთ წელიწადში ერთხელ, რაც გრძელვადიანი სტაბილურობის წინაპირობაა. ამასთანავე, სისტემის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის დაწყება გაწერილია მოქმედი დოკუმენტის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ოთხი თვით ადრე, ან შესაბამისი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ცვლილებისას — გონივრულ ვადაში. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ დაწესებულებაში დანერგილია დაგეგმვის არა ფრაგმენტული, არამედ თანმიმდევრული ციკლი, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციის განვითარების უწყვეტ დინამიკაზე.

სტრატეგიული გეგმა ციკლურია და შესაბამისია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. კერძოდ: განსაზღვრული აქვს 4 სტრატეგიული მიზანი და SWOT–ანალიზზე დაყრდნობით, შემუშავებულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები . კერძოდ:

1. ინკლუზიერი და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა
2. პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
3. საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოს და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
4. მშობლებთან და თემთან პარტნიორობის გაძლიერება.

ამრიგად, სტრატეგიაში წარმოდგენილია 4 სტრატეგიული მიზანი და 14 ამოცანა. სტრატეგიის განხორციელება ხდება 1 წლიანი სამოქმედო გეგმით. დაწესებულებას სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის ასახავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს, დროს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს, საჭირო ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

........................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია:

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებუელაბამ წარმოდგენილი მოცულობითი სტრატეგია, რომელიც 4 მიზანსა და 14 ამოცანას აერთიანებს, დროში უფრო ეფექტურად გადაანაწილოს. სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს სამოქმედო გეგმას და ამოცანები, მხოლოდ ერთი წლის ნაცვლად, სრულად გაწეროს ხუთწლიან პერიოდზე. სასურველია, სტრატეგიული განვითარების გეგმაში განისაზღვროს შესაბამისი მიზნები, ამოცანები და განმახორციელებლები ხუთივე წლის ჭრილში. აღნიშნული მიდგომა დაწესებულებას საშუალებას მისცემს, უფრო რეალისტურად მართოს დასახული მიზნები, უზრუნველყოს პროცესების თანმიმდევრულობა და თავიდან აიცილოს ადამიანური თუ ფინანსური რესურსების გადატვირთვა ერთ კონკრეტულ წელიწადში. ამით სტრატეგიული გეგმა შეიძენს რეალურ ფუნქციურ დატვირთვას და სრულად უპასუხებს დაწესებულების გრძელვადიან ხედვას.

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების — საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2026 წლის 11 თებერვლის №ბ32.84260422 ბრძანებით. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რაც რეგულირდება **აღნიშნული სტრატეგიული დაგეგმვის წესის** მე-11 მუხლით. აღსანიშნავია სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიური სიზუსტე, რომელიც მოიცავს პროექტის მომზადების, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და უკუკავშირის ასახვის ეტაპებს. გეგმის სტრუქტურა სრულყოფილად პასუხობს მართვის თანამედროვე მოთხოვნებს, რამდენადაც მასში სავალდებულო წესითაა განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანები, კონკრეტული აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო (მატერიალური, ადამიანური და ფინანსური) რესურსები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.................................................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ დაგეგმვის პროცესში აქცენტი გააკეთოს ინდივიდუალიზაციაზე, რაც თითოეული ბაღისთვის დამოუკიდებელი სამოქმედო გეგმის შემუშავებით შესაძლებელს გახდის მათი სპეციფიკური საჭიროებების ადეკვატურ ასახვას. ამასთან, მნიშვნელოვანია განვითარების უწყვეტობის პრინციპის შენარჩუნებაც: მომდევნო წლის გეგმაზე მუშაობის დაწყება მიმდინარე ციკლის დასრულებამდე მაგ. 3-4 თვით ადრე შექმნის წინაპირობას, რომ ახალი ამოცანები თანმიმდევრულ ზმაში იყოს წინა პერიოდის შედეგებთან.

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

### 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სამოქმედო გეგმის ანალიზი ადასტურებს, რომ დოკუმენტი სრულად პასუხობს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ტრანსფორმაციას კონკრეტულ, გაზომვად აქტივობებში. ექსპერტების აზრით, გეგმის სიძლიერეს განაპირობებს მისი სტრუქტურული გამართულობა: თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია ვალიდური და გაზომვადი ინდიკატორები, რაც შედეგების ობიექტური შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გეგმაში გაწერილი ვადები არის სრულიად რეალისტური და მისადაგებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სპეციფიკასთან. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების დელეგირება კონკრეტულ პირებსა თუ სტრუქტურულ ერთეულებზე უზრუნველყოფს შესრულების მაღალ ხარისხსა და ანგარიშვალდებულებას. ამასთანავე, დოკუმენტში იკვეთება რესურსების ოპტიმალური დაგეგმვა — მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინება ხდება დაწესებულების რეალური შესაძლებლობების ფარგლებში, რაც გეგმის განხორციელებადობას ხდის გარანტირებულს. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ დაგეგმვის პროცესი ეფუძნება არა მხოლოდ თეორიულ ხედვას, არამედ პრაქტიკულ რაციონალიზმს, რაც აუცილებელია სტრატეგიული ამოცანების წარმატებული განხორციელებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**
.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია
.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა
.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

### 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება მეთოდოლოგიური სტანდარტების დაცვით, რაც რეგულირდება „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესით" (მუხლი. 14. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი) მოთხოვნების შესაბამისად. ექსპერტების ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პროცესი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდება, რაც ინფორმაციის ოპერატიულად დამუშავებისა და გამჭვირვალობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. მონიტორინგისთვის გამოიყენება Google Drive-ის პლატფორმაზე გაზიარებული ფაილები და საქაღალდეები, სადაც პასუხისმგებელი პირები სისტემატურად ტვირთავენ ნარატიულ ანგარიშებსა და შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებებს. სისტემაზე წვდომა მკაცრადაა რეგულირებული და გადანაწილებულია დირექტორს, სამუშაო ჯგუფის წევრებსა და აქტივობებზე პასუხისმგებელ პირებს შორის, რაც პროცესში ჩართული მხარეების კოორდინირებულ მუშაობას უწყობს ხელს. მონიტორინგის პერიოდულობა სტრატეგიული გეგმისთვის განსაზღვრულია 2.5 წლის ინტერვალით, ხოლო სამოქმედო გეგმისთვის — კვარტლურად, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს შუალედური პროგრესის დროული შეფასება.
მონიტორინგის პროცედურა მოიცავს თითოეული აქტივობისთვის სპეციფიკური სტატუსების მინიჭებას შესრულების ხარისხის მიხედვით, რაც შემდგომში სამუშაო ჯგუფის მიერ ერთიანი ანგარიშის მომზადების საფუძველი ხდება. აღსანიშნავია, რომ ციფრულ ფორმატში დაგროვილი მონაცემები პერიოდულად მატერიალური სახითაც არქივდება, რაც დოკუმენტაციის დაცულობას უზრუნველყოფს. პროცესის დასკვნით ეტაპზე იმართება გაერთიანებული შეხვედრები, სადაც პასუხისმგებელი პირების ჩართულობით ხდება აქტივობების დეტალური განხილვა და შესაბამისი ოქმების გაფორმება, რაც მონიტორინგის სისტემის ვალიდურობასა და ობიექტურობას განამტკიცებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის მიერ დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი" უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების მრავალმხრივი მექანიზმი (მე-14 და მე-15 მუხლები); დაწესებულებაში მონიტორინგის პროცესის დასრულებისთანავე იწყება შეფასების ეტაპი, რომლის ფარგლებშიც შეგროვებული ანგარიშები ანალიზისთვის გადაეცემა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფს. ჯგუფი დეტალურად სწავლობს მიღებულ ინფორმაციას და ამზადებს შუალედურ ანგარიშს. აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, საჭიროების შემთხვევაში, წარადგენს ინიციატივას სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. პროცესის ანგარიშგება ხდება პერიოდულად: ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს ფორმდება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ხოლო 2.5 წლის თავზე — სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასება. სამოქმედო გეგმის ანგარიში იწერება ნარატიული ფორმით, სადაც საბავშვო ბაღების გაერთიანებას აქვს შესაძლებლობა, გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიღმა, წარმოადგინოს დამატებითი სტატისტიკური მონაცემები, ფოტომასალა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუები. საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, მომზადებული ანგარიშები ხელმისაწვდომი იქნება ბაღის ვებგვერდზე (ამჟამად ვებ გვერდი ჯერ არაა შექმნილი) და გავრცელდება წინასწარ განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს საფუძველს დაწესებულების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სტრატეგიული კორექტირებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ *2026 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებული ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის* ***11.02. 2026*** *წლის ბრძანება № ბ**32. 84260422 -ით;***
- ✓ *„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 19.05.2025 წლის №ბ32.8425139001 ბრძანებით;*
- ✓ *ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ 08.05.2025 წლის ბრძანება №ბ32.84251282;*
- ✓ *ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლების სტრატეგია;*
- ✓ ინტერვიუს შედეგები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2.** სტრატეგიული განვითარება | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

---
[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა“;
კურიკულუმის დასახელება
ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში 2- დან 6 წლამდე“;

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" 2-დან 6 წლამდე (დანართი 4); დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8426012001**, თარიღი: 12.01.2026წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **კურიკულუმის დამტკიცების შესახებ;** დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8425134001,** თარიღი: 14.05.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018,** თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული. მარეგულირებელი წესის, მუხლი 2. კურიკულუმის შერჩევა-ს თანახმად: ,,კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;

გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;

დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპის განხორციელებისათვის, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი”.

დაწესებულებამ მტკიცებულებად ვერ წარმოადგინა მარეგულირებელი წესით განსაზღვრული, კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ დოკუმენტი;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: დაწესებულებამ შექმნას, მარეგულირებელი წესით განსაზღვრული, კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი; ან ასეთის არსებობის შემთხვევაში (ვინაიდან კურიკულუმი უკვე შერჩეულია), შესაბამისობაში მოიყვანოს მარეგულირებელი წესით განსაზღვრული დოკუმენტი;

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, შესაბამისი ჯგუფის წევრების დადგენას, ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანების გამოცემას, ჯგუფის მიერ შესაბამისი ოქმების მომზადებას. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები (საბავშვო ბაღის დირექტორი და მეთოდისტი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი და წესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი), რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია; კურიკულუმი ჰოლისტურია და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, რათა ფართო და მყარი საფუძველი შეუქმნას ბავშვის სწავლასა და კეთილდღეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თამაში დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი მისი სწავლის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობის, ინტერესის გაღვივებას, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. სწავლა და განვითარება მრავალფეროვან სივრცეებში მონაწილეობით და ჩართულობით ხდება. შემოქმედებითად და გააზრებულად მოწყობილი სივრცეები ხელს უწყობს თამაშით კვლევას, რომელიც ერთდროულად უსაფრთხოც არის და ზომიერ სირთულეებს და რისკსაც მოიცავს.

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ✓ ბავშვებს აქვთ თავისუფალი არჩევანი სასურველი აქტივობების შერჩევისას, თემის შერჩევისას დაცულია ბალანსი, ბავშვის მიერ და უფროსის მიერ შერჩეულ თემათა შორის. კურიკულუმის მიზანია, ბავშვებმა თავად მოიძიონ კონფლიქტის გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- ✓ სივრცე ნაწილობრივ არის დაყოფილი ცენტრებად, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის;
- ✓ თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას;

კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა. ჯგუფის ერთობა მოიცავს როგორც ბავშვების ინდივიდუალურ, სოციალურ, ემოციურ, კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვას, ისე - ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობას და ერთ მთლიან გუნდად ჩამოყალიბებას. კვლევა-აღმოჩენა კვლევის უნართან ერთად ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებით უნარებს აერთიანებს. ეს, თავის მხრივ, ისეთ, კიდევ უფრო კონკრეტულ უნარებში ვლინდება, როგორიცაა: ინტერესი სიახლის მიმართ, კითხვების დასმა, ვარაუდების გამოთქმა, ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე, ექსპერიმენტირება, კლასიფიკაცია, შედარება, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება, ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, სიმბოლური აზროვნება, ინტერპრეტაცია, პრობლემის გადაჭრა, შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური

რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში;
კურიკულუმში მოცემულია ინფორმაცია, ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ბაღის საქმიანობის ეფექტურობასა და ბავშვის განვითარების მხარდაჭერაში. მოცემულია ოჯახის მონაწილეობის სამი მიმართულება: ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა; ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტი ჩართულობა; მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მიზნების მიღწევისათვის, მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო პროცესში, კურიკულუმის პრინციპებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საქმიანობების განხორციელება, ბავშვის ასაკისა და განვითარების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის ღირებულებები და პრინციპები გვეუბნება, ბავშვი თავისი სწავლისა და განვითარების ცენტრალური აქტორია. საგანმანათლებლო პროცესი, ამ კურიკულუმის მიხედვით, თამაშით სწავლების პრინციპებს ეყრდნობა და დაგეგემილ აქტივობებში, გათვალისწინებულია მრავალფეროვნება, ბავშთა ასაკი და განვითარება. რაც უფრო მეტი, განსხვავებული ტიპისა და დროის ხანგრძლივობის თამაშის შესაძლებლობა ექნებათ ბავშვებს, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, მით უფრო მაღალი იქნება ბავშვების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში და, ამავე დროს, ხელი შეეწყობა მათ ჰოლისტურ განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8425134001,** თარიღი: 14.05.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელი წესის, მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება“-ს თანახმად:

1. დაწესებულება/შერჩეულ კურიკულუმ(ებ)ს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: ა) მშობლები; ბ) დაწესებულების პერსონალი; გ) თემი/მუნიციპალიტეტი; დ) სხვ.
3. დაწესებულების კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა სოციალური ქსელის ბმული: https://www.facebook.com/profile.php?id=61564601221439

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა განახლებული კურიკულუმი ,,თამაში“ 2-დან-6 წლამდე მშობლებთან გაზიარების ოქმი #4, თარიღი: 04.03.2026წ. დღის წესრიგი: ,,განახლებული კურიკულუმი ს ,,თამაში“ 2-დან 6 წლამდე მშობლებთან გაზიარება; (ფიქსირდება ხელმოწერები);

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა განახლებული კურიკულუმი ,,თამაში“ 2-დან-6 წლამდე თანამშრომლებთან გაზიარების კრების ოქმი #6, თარიღი: 20.03.2026წ. დღის წესრიგი: ,,ახალი განახლებული კურიკულუმი ს ,,თამაში“ 2-დან 6 წლამდე თანამშრომლებთან გაზიარება. თანდართულია ფოტომასალა);

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8426012001**, თარიღი: 12.01.2026წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **კურიკულუმის დამტკიცების შესახებ;**
- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8425134001**, თარიღი: 14.05.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;
- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018,** თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
- ✓ მშობლებთან გაზიარების ოქმი #4, თარიღი: 04.03.2026წ. დღის წესრიგი: ,,განახლებული კურიკულუმი ს ,,თამაში" 2-დან 6 წლამდე მშობლებთან გაზიარება; (ფიქსირდება ხელმოწერები);
- ✓ თანამშრომლებთან გაზიარების კრების ოქმი #6, თარიღი: 20.03.2026წ. დღის წესრიგი: ,,ახალი განახლებული კურიკულუმი ს ,,თამაში" 2-დან 6 წლამდე თანამშრომლებთან გაზიარება. თანდართულია ფოტომასალა);
- ✓ საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1.** კურიკულუმის დაგეგმვა | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანება: #ბ32.84251018, თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

***მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა -ს თანახმად:***

1. საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).
2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი სემესტრის მიხედვით, (I-სექტემბერი დეკემბერი. II-იანვარი-ივნისი.) რომელიც შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ.32.84250942, თარიღი: 04.04.2025წ.** ა(ა) იპ **,,ხაშურის მუნიციპალიტეტეის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში გრძელვადიან გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ;**

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018,** თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის

დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
აღნიშნულ დოკუმენტს თანდართული აქვს მოკლევადიანი გეგმის ფორმა, თუმცა არ არის გრძელვადიანი გეგმის ფორმის სარეკომენდაციო ფორმა. შესაბამისად ვერ ხერხდება დადასტურება, რომ საგანამანთლებლო პროცესის დაგეგმვა (გრძელვადიანი გეგმა) შეესაბამება მარეგულირებელ წესში გაწერილ ვადებს. აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოში ამ ეტაპზე ფიქსირდება გარკვეული, სხვადასხვა სახის გრძელვადიანი გეგმის სარეკომენდაციო ფორმები;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს გრძელვადიანი გეგმის სარეკომენდაციო ფორმის/ების შემუშავება, საგანმანათლებლო პერსონალისთვის გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა მარეგულირებელი წესის შესაბამისად;
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, გრძელვადიანი გეგმის შესაბამისი ფორმის შემუშავებას, გრძელვადიანი გეგმის ფორმის დამტკიცებას, ფორმის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას.  ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მეთოდისტი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018,** თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
მუხლი 3.  საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, მესამე და მეოთხე პუნქტის თანახმად:
3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. ბ 32 84250942 04/04/ 2025წ.
4. მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან.

ადგილზე ვიზიტისას, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუდან ვიღებთ ინფორმაციას, რომ საგანმანათლებლო პროცესს გუნდი დაგეგმავს ერთად, ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა  და საჭიროებების გათვალისწინებით.
აღმზრდელის თანაშემწესთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციიდან დასტურდება, რომ მისთვის დაკისრებულ სამუშაო აღწერილობიდან და ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე (დავალებული აქვს ჰიგიენური პროცედურების უზრუნველყოფა) ნაწილობრივ, ან ვერ ექნება საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

რეკომენდაცია
**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** აღმზრდელის თანაშემწე, აღმზრდელთან ერთად, მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად,  ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებულ საქმიანობებში;
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება საკითხს დააყენებს საბავშვო ბაღების გაერთიანებაში, გამოყოფს აღმზრდელის თანაშემწის საშტატო ერთეულს, უზრუნველყოფს აღმზრდელის თანაშემწის შერჩევას, რომელიც ჩართული იქნება საგანმანათლებლო პროცესში.  ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები (მთავარი ბუღალტერი და გაერთიანების მეთოდისტი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

### 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018**, თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელი წესში, მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება - თანახმად:

1. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შემდეგი ტიპის პორტფოლიოებს:

ბ) აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოს;

გ) აღმზრდელის პორტფოლიოს;

დ) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს.

2. აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დღის განრიგი;

ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;

გ) რეფლექსური ჩანაწერები.

4. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა ) დღის განრიგი; ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები; გ) რეფლექსური ჩანაწერები; დ)შიდა შეფასების ჩანაწერები;

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ წარმოადგინა დღის განრიგი, რომელიც  მხოლოდ ერთი ასაკობრივი ჯგუფისთვის არის გათვალისწინებული. აღნიშნულ ფორმაში ასაკის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა  **არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავდეს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს. კერძოდ დღის განრიგები შეიქმნას, ბავშვთა ასაკის და განვითარების სტანდარტის თავისებურებების გათვალისწინებით.

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის მიერ, ისეთი დღის განრიგის გაწერას, რომელშიც შესაძლებელი იქნება ასაკობრივი ჯგუფების იდენტიფიცირება, შემუშავებული დღის განრიგის შესაბამისი პირებისთვის გაცნობას. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები (საბავშვო ბაღის დირექტორი და მეთოდისტი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-15.09.2026წწ. (4თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018,** თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელ წესში, მუხლი 4. ინდივიდუალიზაციის ასპექტი - ს თანახმად:
1. ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალიზაცია ვლინდება:
ა) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით;
ბ) დაწესებულების მიერ, ასევე რეაბილიტაცია აბილიტაციის ცენტრის და დაწესებულების გარეთ არსებულ სერვის პროვაიდერთან (ადრეული ინტერვენციის ცენტრის, განვითარების ცენტრის და სხვ.) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით;

2. ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები.
3. ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები.
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ.32.8425094001, თარიღი: 04.04.2025წ.** ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის, ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ; აღნიშნულ დოკუმენტს დანართის სახით თანდართული აქვს შეფასების ფორმა, თუმცა არ არის დაკვირვების ფორმები;
ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების განსხვავებული ფორმები: ,,შემაჯამებელი შეფასების ფორმა“, რომლებიც არ შეესაბამება მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ფორმებს. აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოში ასევე არის დაკვირვების ფორმები, რომლებიც არ არის დამტკიცებული მარეგულირებელი წესის თანახმად. აღმზრდელ-პედაგოგებთან და აღმზრდელებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ მარეგულირებელი წესით განსაზღვრული დაკვირვებისა და შეფასების ფორმების გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა/გამოყენება, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მომავალი სასწავლო წლიდან.
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ.32.8425343001,** თარიღი: 09.12.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში-საბავშვო ბაღებში მულტიდისციპლინური ჯგუფების შექმნის შესახებ;
აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებელებების საბავშვო გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულში განთავსებულია რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია 5 სპეც.მასწავლებლით (გადამზადებულნი არიან პროექტის ფარგლებში, იაპონია). აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულს, მუნიციპალიტეტის მიერ, ვალდებულებაში აქვს საბავშვო ბაღებში პროცესზე დაკვირვება/საჭიროებების იდენტიფიცირება და რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრში, შესაბამის სპეციალისტთან/ სერვისზე რეფერირების საკითხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

## რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** დაწესებულებამ საგანმანათლებლო პერსონალს გააცნოს და პრაქტიკაში დანერგოს შეფასების/დაკვირვების ფორმები, რომლებიც დამტკიცებულია საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის N ბ 32. 8425094001 04/04/ 2025წ. ბრძანებით;

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, საგანმანათლებლო პერსონალისთვის საზავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის N ბ 32. 8425094001 04/04/ 2025წ. ბრძანებით დამტკიცებული ფორმების გაცნობას და პრაქტიკაში დანერგვას. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების თვითშეფასებიდან და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ ,,დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის აუცილებელი მეთოდი ადრეულ ასაკში არის თამაში. თამაშის დროს ბავშვი არის მოტივირებული, შეიძლება ინიციატორიც. ამიტომ ტრანზიციის დროს აღმზრდელ-პედაგოგის მიერ ჩართული თამაშის ელემენტები ბავშვებს ლოდინის საშუალებას არ აძლევს. მაგ: აწეული ხელით დათვლა-მიმანიშნებელია ჯგუფის მილაგების და სხვა ტრანზიციაზე გადასვლის, მუსიკის ჩართვა-ხელების დაბანვის, ვიზუალური განრიგი-რომელი ტრანზიციის დროს რა უნდა გააკეთონ. ასეთი მიდგომა ბავშვებისთვის ბევრად უფრო სახალისოა“;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................................

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულების ხელმძღვანელთან და აღმზრდელ-პადაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ექნება სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად მიეცემათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.
იქიდან გამომდინარე, რომ საბავშვო ბაღის შიდა, ფიზიკური გარემო ამ ეტაპზე ცარიელია, ვერ მოხერხდა ჯგუფური ოთახების სივრცეებად გადანაწილებისა და ცენტრებში რესურსის ორგანიზების შეფასება. შესაბამისად ბავშვების სხვადასხვა ტიპის (ინდივიდუალური, ჯგუფური) თამაშში ჩართვის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია.
გარე სივრცის (ეზო) ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ყოველდღიურად მიეცემათ ეზოში თავისუფალი, ორგანიზებული, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური თამაშების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** შიდა სივრცეების (ჯგუფური ოთახი, სენსო-მოტორული სივრცე) მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად. ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად;
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
**სასურველია,** დაწესებულებამ ეზოში მოაწყოს სივრცეები, დრამატული და სენსორული აქტივობებისთვის;
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, შესასრულებელი სამუშაოების დადგენას, საქმიანობის ბიუჯეტირებას და შიდა სივრცეების (ჯგუფური ოთახი, სენსო-მოტორული სივრცე) მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად; ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

.................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება #ბ32.8425094001,** თარიღი: 04.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის, ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცება;

ზემო აღნიშნული დოკუმენტის პირველ პუნქტში ვკითხულობთ, რომ:

1. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში კურიკულუმი თამაშის დანერგვის შესახებ **ბრძანების #ბ31. 8423174001,** თარიღი: 23.06.2023 საფუძველზე დამტკიცდეს, დანერგილი კურიკულუმების საჭიროებიდან გამომდინარე, მინუმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ერთ ჯგუფზე გათვლით.

დაწესებულებაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის განხორციელებისათვის, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაღისთვის, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8426012001** - ით დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში” 2-იდან 6 წლამდე (დანართი 4), თარიღით: 12.01.2026წ. შესაბამისად 2023 წელს შექმნილი და

დამტკიცებული საგანმანათლებლო მუნიმალური რესურსის ნუსხა ვერ მოდის შესაბამისობაში დამტკიცებულ კურიკულუმთან, აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დამაყოფილებული.

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018**, თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
მარეგურილებელი წესის, მუხლი 4. ,,საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა-თანახმად:

1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს.
2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.
4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;
5. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;
6. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი მტკიცდება საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად. ბრძანება ბ.32. 8425094001 04/04/2025
7. დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრა ეფუძნება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესს. კერძოდ მე-5 მუხლის მე-2 მე-3 და მე-4 პუნქტებს.

2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;

3. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს";

დაწესებულების ხელმძღვანელთან და აღმზრდელ-პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ პრაქტიკაში დაწესებულებას შემუშავებული აქვს რესურსების მოთხოვნა/მიღების შიდა მექანიზმი, კერძოდ: ხელმძღვანელის მიერ საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად დაიგეგმება სამუშაო შეხვედრა, განიხილავენ მომავალი კვირის დაგეგმილ თემებს/აქტივობებს, გამოიკვეთება საჭირო რესურსი, რომელიც აქტივობათა განხორციელებისთვის არის საჭირო. დაწესებულების ხელმძღვანელი, რესურსის მოთხოვნის განცხადების ფორმით მიმართავს გაერთიანების მმართველს. მტკიცებულებად წარმოდგენილია წერილობითი განცხადების ფორმა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

.......................................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** დაწესებულებამ თანხვედრაში მოიყვანოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8426012001** (12.01.2026წ.)- ით დამტკიცებულ, ადრეული განათლების 2-დან 6 წლამდე კურიკულუმ „თამაშთან";

.......................................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შექმნას, რესურსების შეძენას და პროცესში გამოყენებას. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

.......................................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................................

### 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251014, თარიღი: 11.04.2025წ.** ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;

წესში - მუხლი 4. დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები - ს თანახმად:

5. საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში-საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის , შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში.

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018**, თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგურილებელი წესის, მუხლი 6 საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება -ს თანახმად:

1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით.

2. საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:




3. საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.
4. ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.
5. ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმის გარდა, დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს: ა) მოგროვება; ბ) დონაცია; გ) დამზადება.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-საინვენტარიზაციო აღწერა- 2026წ; თუმცა აღნიშნულ ნუსხაში არ არის ასახული სათამაშოები და ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რაც კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვისთვის არის საჭირო ;

ამ ეტაპზე დაწესებულებაში ვიზუალური დათვალიერებით ვერ მოხერხდა საგანამანათლებლო რესურსის შეფასება, ბავშთა ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობის დადგენით.

დაწესებულებამ წარმოადგინა ,,ქალაქ ხაშურის #19 საბავშვო ბაღის“ საკანცელარიო მასალის მოთხოვნის ჩამონათვალი, თუმცა აღნიშნულ ფორმაში არ იდენტიფიცირდება ვადები, თარიღი და ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობა (საკანცელარიო მასალის ჩამონათვალი ძალიან მცირე რაოდენობისაა).

დაწესებულებამ წარმოადგინა ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის (დროებითი მოვალეობის შემსრულებელი), ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მისამართით წერილი #32-842611331, თარიღი: 23.04.2026წ. ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანება"-ის კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისთვის სასწავლო მიმართულებით უზრუნველსაყოფად, მხატვრული და თვალსაჩინო ლიტერატურის შეძენად ინვოისი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ბიუჯეტის პროექტში;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" ბიუჯეტის პროექტი 2026 წლის 1 იანვრიდან, სადაც გათვალისწინებულია შემდეგი ხარჯები: 2.2.3.1. საკანცელარიო საქონლის შესაძენი ხარჯი; 2.2.3.4.9. კურიკულუმის განსაზღვრული მიზნებისთვის სასწავლო მიმართულებით მუსიკალური ინსტრუმენტების, სათამაშოების და სხვა თვალსაჩინოების შეძენის ხარჯები; აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის პროექტი გათვლილია საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ ყველა საბავშვო ბაღზე, შესაბამისად ვერ იდენტიფიცირდება, კონკრეტულად ცხრამუხის #19 ბაღისთვის რა თანხა იქნება გამოყოფილი და რა სახეობის/რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსი იქნება შეძენილი;

დაწესებულების ხელმძღვანელთან და გაერთიანების მმართველთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სათამაშოებზე ტენდერი გამოცხადდა სამჯერ, თუმცა შესყიდვები დასრულდა უარყოფითი შედეგით. ამ ეტაპზე გამოცხადებულია კონსოლიდირებული ტენდერი აუქციონის გარეშე (con), განცხადების ნომერი: CON260000229; თარიღი: 30.04.2026; კლასიფიკატორის კოდია: 37500000-თამაშები და სათამაშოები, ატრაქციონები; სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდება 2026წლის სახსრებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოძიებულ იქნა აღნიშნული განცხადება, სადაც სათამაშოთა ჩამონათვალი წარმოადგენს 87 სახეობას და რაოდენობა აკმაყოფილებს კონკრეტული ბაღის ბავშვთა ზრვრულ რაოდენობას, თუმცა კონსოლიდირებული ტენდერი არ ვიცით როგორი შედეგით დასრულდება, შესაბამისად აღნიშნული ვერ მოდის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში;

დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგებთან და აღმზრდელებთან ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ მშობლები გამოთქვამენ მზაობას, ხშირად ჩაერთონ, კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებისთვის საჭირო რესურსის უზრუნველყოფის ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

.....................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის შეძენა/გადაცემა, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, საჭირო ინვენტარის განსაზღვრას, ინვენტარის შესყიდვის ბიუჯეტირებას, შესყიდვას და განთავსებას კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**
........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

### 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

#### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018**, თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
მარეგულირებელი წესში, მუხლი 7. გარემოს ფიზიკური მოწყობა-ს თანახმად:

1. დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.

2. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად.
3. დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულების შიდა სივრცე ცარიელია, ვიზუალური დათვალიერებით ვერ მოხერხდა ინდიკატორის მოთხოვნის იდენტიფიცირება/აღწერა.
დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს ინვენტარი, აღნიშნული შეტანილი აქვს **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 2.2.3 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებული აქვს 4 თვე.**
დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**

რეკომენდაცია
**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.
..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ ავტორიზაციის თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განახორციელა ცვლილება, კერძოდ: აღნიშნული ინდიკატორის ხარვეზის აღმოფხვრის ვადის პერიოდი 4 თვე (მეტწილი შესაბამისობა), განსაზღვრა 12 თვით, 05.06.2026-05.06.2027წწ. (მეტწილ შესაბამისობაზე). გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, საჭირო ინვენტარის განსაზღვრას, ინვენტარის შესყიდვის ბიუჯეტირებას, შესყიდვას და განთავსებას კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი).

ექსპერტთა გუნდის შეფასება რჩება იგივე და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულების შიდა სივრცე ამ ეტაპზე ცარიელია და ვიზუალური დათვალიერებით ვერ მოხერხდა ინდიკატორის მოთხოვნის იდენტიფიცირება/აღწერა. დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს ინვენტარი და აღნიშნული შეტანილი აქვს **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 2.2.3, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 4 თვე.** დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, ორგანიზებულია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**

### რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ავტორიზაციის თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განახორციელა ცვლილება, კერძოდ: აღნიშნული ინდიკატორის ხარვეზის აღმოფხვრის ვადის პერიოდი 4 თვე (მეტწილი შესაბამისობა), განსაზღვრა 12 თვით, 05.06.2026-05.06.2027წწ. (მეტწილ

შესაბამისობაზად). გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, საჭირო ინვენტარის განსაზღვრას, ინვენტარის შესყიდვის ბიუჯეტირებას, შესყიდვას და განთავსებას კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი).
ექსპერტთა გუნდის შეფასება რჩება იგივე და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

## 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე დაწესებულების შიდა სივრცე ცარიელია, ვიზუალური დათვალიერებით ვერ მოხერხდა ინდიკატორის მოთხოვნის იდენტიფიცირება/აღწერა.
დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს ინვენტარი და აღნიშნული შეტანილი აქვს **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 2.2.3 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებული აქვს 4 თვე.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

### რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება;

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ავტორიზაციის თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განახორციელა ცვლილება, კერძოდ: აღნიშნული ინდიკატორის ხარვეზის აღმოფხვრის ვადის პერიოდი 4 თვე (მეტწილი შესაბამისობა), განსაზღვრა 12 თვით, 05.06.2026-05.06.2027წწ. (მეტწილ

შესაბამისობაზად). გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, საჭირო ინვენტარის განსაზღვრას, ინვენტარის შესყიდვის ბიუჯეტირებას, შესყიდვას და განთავსებას კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი).

ექსპერტთა გუნდის შეფასება რჩება იგივე და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

### 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018**, თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ; მარეგულირებელ წესში მუხლი 8- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა წარმართვისათვის, და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.
2. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩექლისტები; დ) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.
3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით N ბ 32. 8425094001 04/04/ 2025 და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.
4. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულება მოქმედებს ამ მუხლის მე-5 და მე-5 პუნქტებით დადგენილი სისტემით.
5. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.
6. ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;

7. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. საჭიროების შემთხვევაში რეაბილიტაცია აბილიტაციის ცენტრის ჩართულობით.
8. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;
9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში სამჯერ
10. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.
დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება #ბ32.8425094001,** თარიღი: 04.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის, ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცება; აღნიშნულ დოკუმენტს დანართის სახით თანდართული აქვს მხოლოდ შეფასების ფორმა, დაკვირვების ფორმა არ ფიქსირდება;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

..........................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** დაწესებულებამ მარეგულირელებელი წესის თანახმად უზრუნველყოს, ბავშვზე დაკვირვების ფორმების შემუშავება/საგანმანათლებლო პერსონალისთვის გაცნობა და სამომავლოდ პრაქტიკაში დანერგვა;

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, მარეგულირებელი წესის შესაბამისად ბავშვზე დაკვირვების ფორმის შემუშავებას, შემუშავებული დაკვირვების ფორმის დამტკიცებას, დამტკიცებული ფორმის პერსონალისთვის გაცნობას და პრაქტიკაში დანერგვას. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018**, თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელ წესში, მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები მეხუთე პუნქტის თანახმად:

5. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;

ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;

გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

ადგილზე ვიზიტისას, აღმზრდელ-პედაგოგებთან და აღმზრდელებთან გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი გამოიყენებს, დაწესებულების მიერ შემუშავებულ მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ და დამტკიცებულ, ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს:

ბ) მოკლე კითხვარები;

გ) ჩექლისტები;

დ) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

### რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018,** თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგურილებელი წესის თანახმად:

9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში სამჯერ

10. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018**, თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგურილებელი წესის, მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა - ს თანახმად:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

ადგილზე ვიზიტისას საბავშვო ბაღის ხელმძღვანელთან და აღმზრდელ-პედაგოგთან გასაუბრებიდან დგინდება, რომ ბავშვის დაკვირვებისა და შეფასებისა შედეგების გაცნობის მიზნით, აღმზრდელ-პედაგოგი გარკვეული პერიოდულობით, ინდივიდუალურად შეხვდება მშობლებს. გააცნობს მიღწეულ შედეგებს, ხელს შეუწყობს მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ინდივიდუალური შეხვედრებისთვის გამოყოფილია სივრცე (სამუშაო სივრცე);

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84251018,** თარიღი: 11.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ.32.84250942, თარიღი: 04.04.2025წ.** ა(ა) **იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტეის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" სტრუქტურულ ერთეულებში გრძელვადიან გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ;**
- ✓ **ბრძანება: #ბ.32.8425094001, თარიღი: 04.04.2025წ.** ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის, ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ;
- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ.32.8425343001,** თარიღი: 09.12.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" სტრუქტურულ ერთეულებში-საბავშვო ბაღებში მულტიდისციპლინური ჯგუფების შექმნის შესახებ;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ✓ ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-საინვენტარიზაციო აღწერა-2026წ.

<table>
<tr><td colspan="4">შეფასება:</td></tr>
<tr><td colspan="4">2.2. კურიკულუმის განხორციელება</td></tr>
<tr><td>შეესაბამება ☐</td><td>მეტწილად შეესაბამება ☒</td><td>ნაწილობრივ შეესაბამება ☐</td><td>არ შეესაბამება ☐</td></tr>
</table>

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.84232064, თარიღი: 25.07.2023წ.** ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში კურიკულუმის ,,თამაშის“ დანერგვისთვის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8425134001**, თარიღი: 14.05.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;

მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება - ს თანახმად:

1. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.
2. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად/ ერთხელ.
3. კურიკულუმის შეფასებისთვის **დაწესებულების დირექტორის ბრძანებით** იქმნება სამუშაო ჯგუფი/კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.
4. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება:

ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას;
გ) მშობლების უკუკავშირს;
დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;
ე) სხვა

5. საგანმანათლებლო პროცესის შეფასება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ამ ინფორმაციის ანალიზს იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობს ხელს პროცესის სხვადასხვა კომპონენტები კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
6. საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება:
ა) კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვზე დაკვირვების შედეგების ანალიზი;
ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი;
გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია;
დ) მშობლების უკუკავშირი;
ე) განხორციელებული აქტივობების ანალიზი;
ვ) რუტინებისა და ტრანზიციების ანალიზი;
ზ) გეგმებისა და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობის ანალიზი;
ვ) საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ჩართულობის ხარისხის ანალიზი;
ზ) გამოყენებული მიდგომებისა და სტრატეგიების ანალიზი;
კ) სხვა.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულებას შექმნილი აქვს/იყენებს მზა სახის ცხრილებს/ კითხვარებს/ დაკვირვების ჩანაწერებს/ პორტფოლიებს და სხვ.
8. ფიზიკური გარემოს შეფასება გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს ფიზიკური გარემო და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის მიზნების მიღწევას.
9. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის ხორციელდება: ა) ჯგუფური ოთახების/დაწესებულების შიდა სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი; ბ) ეზოს/გარე სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი.
10. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის გამოიყენება:
ა)საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ჯგუფზე დაკვირვების შედეგების ანალიზი;
ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი;
გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია;
დ) მშობლების უკუკავშირი;
ე) სხვ.
11. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულებას შექმნილი აქვს/იყენებს ინსტრუმენტს/ცხრილებს/რუბრიკებს.
12. მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება: ა) კითხვარები; ბ) ღია შეხვედრები/დისტანციური შეხვედრები; გ) სოციალური მედიის პლატფორმები; დ) შენიშვნის/წინადადების ყუთი; ე) ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები; ვ) სხვ. სახის შეფასების
13. საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიების ანალიზისთვის გამოიყენება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წლის განმავლობაში გაკეთებული თვითრეფლექსიები.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, მარეგულირებელი წესით განსაზღვრული, **დაწესებულების დირექტორის ბრძანებით** დამტკიცებული, კურიკულუმის შეფასებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის დოკუმენტი; იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებაში ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს სააღმზრდელო პროცესი, ფიზიკურ გარემოში არ არის განთავსებული შენიშვნის/წინადადების ყუთი მშობლების უკუკავშირისთვის. აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის ცხრილი, რომლის გამოყენებასაც დაწესებულება გეგმავს სამომავლოდ;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** მარეგულირებელი წესის თანახმად, შესაბამისობაში მოიყვანოს კურიკულუმის შეფასებისთვის ჯგუფის შექმნის დოკუმენტი;

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შეფასებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის დოკუმენტის შემუშავებას, დაინტერესებულ მხარეებისთვის დოკუმენტის გაცნობას. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027წწ. (12თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა გუნდის შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8425134001,** თარიღი: 14.05.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;

მუხლი5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება - ს თანახმად:

1. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები.

2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.

3. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს:

ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას;

ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას;

გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას;

გ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას;

დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა /გამრავალფეროვნებას;

ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებელების გათვალისწინების მიდგომებში;

ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას;

ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში); ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში;

კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას; ლ) სხვა.

4. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის გაერთიანების მმართველის ბრძანებით.

5. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას; ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას/ ან ამოღებას .

დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს დანერგილი პრაქტიკაში კურიკულუმის შეფასება და განვითარება;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის **ბრძანება: #ბ32.8425134001,** თარიღი: 14.05.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| **2.3.** კურიკულუმის შეფასება და განვითარება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის ბრძანების და ბრძანებაში ცვლილების შეტანის რამდენიმე (3) ვერსია:

- ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები საბავშვო გაერთიანების მმართველის ბრძანება: ბ32.8425104001, თარიღი:14.04.2025წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;
- ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები საბავშვო გაერთიანების მმართველის ბრძანება: ბ32.84260442, თარიღი: 13.02.2026; ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" 2025წლის 14 აპრილის ბრძანებაში ბ32.8425104001 ბრძანებით დამტკიცებულ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში ცვლილების შეატანის შეახებ;
- ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები საბავშვო გაერთიანების მმართველის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) **ბრძანება: ბ32.842607500**, თარიღი: 16.03.2026წ. ა(ა) იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ **#10, #19 საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ;**

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოაღნიშნულ, მათ შორის 2026 წლის 16.03-ში დამტკიცებულ ბრძანებას, თანდართული აქვს ქ. ხაშურის #19 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2025-2026 წელი, სადაც ვადებად გნსაზღვრულია 2025 წლის სექტემბრიდან-დეკემბრის ჩათვლით ვადები, რაც არ მოდის თანხვედრაში წესის დამტკიცების თარიღთან.

აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;

ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა;

გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა;

დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობების გადანაწილება;

ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა;

ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით, საკომუნიკაციო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიების/აქტივობის დასახელება, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, სამიზნე აუდიტორია, ღონისძიების შინაარსი.

ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
ზ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნული დოკუმენტისა და გასაუბრების თანახმად, დაწესებულების ადმინისტრაცია ახორციელებს ახალი თანამშრომლის პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს ორგანიზაციული კულტურა. როგორც ინტერვიუებით დადგინდა, დაწესებულება ფუნქციონირებს გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებით. თანამშრომლებს ერთ გუნდად აქცევს საერთო მიზანი, საერთო მისია. ამის დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ პროექტებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვისას დაწესებულების კოლექტივი ამჟღავნებს ერთსულოვნებასა და თანაბარ ჩართულობას. მაგალითად: დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან, რაც დასტურდება იმით, რომ: მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც გულისხმობს მის გაზიარებას ჯგუფის წევრებს შორის. ასევე გასაუბრების შედეგად დადსტურდა, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულება გაზაირებული იქნა ბაღის პერსონალთან და მშობლებთან, კერძოდ გაიმართა შეხვედრები, მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასევე გასაუბრებისას აღმზრდელებმა აღნიშნეს, რომ ყოველი ახალი ტრენინგის გავლის შემდეგ უზიარებენ კოლეგებს მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას, რაც ეხმარებათ სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში" მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შესრულებული სამუშაოს მართვისა და შეფასების მრავალმხრივ ასპექტებს. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ თანამშრომელთა უნარებისა და დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხის ანალიზზე, არამედ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორიცაა სამუშაო გარემო, კარიერული განვითარება, აღიარება, მოტივაცია და სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი. დოკუმენტში ხაზგასმულია უკუკავშირისა და კომუნიკაციის მნიშვნელობა, აგრეთვე პერსონალის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება.

პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის პროცესისთვის დაწესებულება იყენებს სხვადასხვა მეთოდოლოგიას, მათ შორის წყვილების შედარებას, კითხვარებს, მართვას მიზნების მიხედვით, თვითშეფასებასა და უშუალო ხელმძღვანელის მხრიდან შეფასებას. პროცესი სტრუქტურულად დაყოფილია დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების ანალიზის ეტაპებად. მარეგულირებელი ჩარჩო დეტალურად არის შემუშავებული, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპამდე პერსონალის საქმიანობის პრაქტიკული შეფასება ჯერ არ განხორციელებულა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის განვითარება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის თანმიმდევრულ პროცესს. დაწესებულების მართვის სისტემაში ინტეგრირებულია პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმები, რაც საშუალებას იძლევა, განვითარების ღონისძიებები დაიგეგმოს მიზნობრივად, არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულება სისტემატურად ზრუნავს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პერსონალის პირად საქმეებში არსებული სერტიფიკატები, ტრენინგებისა და სემინარების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ პერსონალის განვითარების დაგეგმილი ღონისძიებები პრაქტიკულად ხორციელდება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პედაგოგიური თუ დამხმარე პერსონალის კომპეტენციების მუდმივ განახლებას, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ აისახება საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხზე.
გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს იდეების წახალისების მექანიზმი, რაც პერიოდული შეხვედრების ფორმატში პერსონალს საკუთარი ხედვებისა და ინიციატივების თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობას აძლევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

**სასურველია,** დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის პროფესიულ საჭიროებებზე დაფუძნებული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროცესის სისტემურობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ გაერთიანება პერიოდულად ახორციელებს პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. აღნიშნული აქტივობები გათვალისწინებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების — საბავშვო ბაღების გაერთიანების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის 2026 წლის 11 თებერვლის №ბ32.84260422 ბრძანებით. აღმზრდელებს აქვთ გავლილი 66 საათიანი ტრენინგ-მოდული. პერიოდულად დაწესებულებას აქვს შემოთავაზება საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე ორგანიზაციებიდან, რომლებიც ატარებენ სხვადასხვა შინაარსის ტერნინგებსა და სწავლებებს. სტატუსის მაძიებელი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების არსებობა დადასტურებულია გავლილი ტრენინგებით, სერტიფიკატებით, რომლებიც ინახება პერსონალის პირად საქმეებში, მაგ: „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“, „სკოლამდელი დაწესებულების მუშაობის შინაარსი და თანამედროვე სტანდარტები“, „კურიკულუმის სტანდარტი ბაღის პრაქტიკაში“, „სპეც. პედაგოგის კურსი“, „ურთიერთობის ფსიქოლოგია, თერაპია და პრაქტიკის კურსი“, და სხვა; აღნიშნული ასევე დასტურდება პესონალთან გასაუბრების შედეგად;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

**სასურველია**, დაწესებულებამ პერსონალის განვითარების გეგმა ცალკე დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს და მასში მკაფიოდ განსაზღვროს პროფესიული ზრდისთვის საჭირო ყველა პროცედურა.

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“, დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 11.04. 2025 ბ32. 84251015 ბრძანებით;
- ✓ დაწესებულების სტრუქტურა/ორგანოგრამა;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ „შინაგანაწესი“- დამტკიცებული ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2016 წლის 11 აპრილის № 42 ბრძანებით;
- ✓ 15.10.2025 წლის ოქმი № 3 საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ
- ✓ „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“, ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11აპრილის №ბ32.84251014 ბრძანებით;

- ✓ საშტატო ნუსხა;
- ✓ სერტიფიკატები;
- ✓ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული მასალები/აქტივობები;
- ✓ გასაუბრების შედეგები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ფუნქციონირება და ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღმზედის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის მიერ 14.05.2025 წელს დამტკიცებულ №ბ32. 8425128001 ბრძანებას „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მეთოდოლოგიურ საფუძველს, სადაც მკაფიოდ არის იერარქირებული და დიფერენცირებული დაწესებულების საქმიანობის ყველა ასპექტი.

დოკუმენტის მე-4 მუხლის შესაბამისად, დაწესებულებაში პროცესები დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად:

1. **მმართველობითი პროცესები:** მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ხარისხის უზრუნველყოფას, რაც განსაზღვრავს ბაღის განვითარების გრძელვადიან ხედვასა და თვითშეფასების მექანიზმებს.
2. **ძირითადი პროცესები:** ეს ნაწილი უშუალოდ უკავშირდება საგანმანათლებლო საქმიანობას. მასში ინტეგრირებულია კურიკულუმის შერჩევა, შემუშავება, პრაქტიკული განხორციელება და მუდმივი განვითარება. ასევე, მოიცავს ბავშვთა რაოდენობის მართვას (რეგისტრაცია/ჩარიცხვა), სსსმ ბავშვების მომსახურებასა და ოჯახთან თუ თემთან აქტიურ კომუნიკაციას.
3. **დამხმარე პროცესები:** აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებას (ფიზიკურ და ემოციურ გარემოს), სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, ბავშვთა კვების ორგანიზებასა და გამართულ საქმისწარმოებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია ყველა ის კრიტიკული წერტილი, რომელიც გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე. პროცესების ასეთი დეტალური აღწერა ხელს უწყობს ფუნქციების მკაფიო განაწილებას და უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის ეფექტურ მუშაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

.

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს მართვის საერთაშორისოდ აღიარებული **დემინგის „PDCA" (Plan-Do-Check-Act)** ციკლის პრინციპზე დაყრდნობით, რაც რეგულირდება ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღმზედის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის მიერ 14.05.2025 წელს დამტკიცებული **№ბ32. 8425128001 ბრძანებით** (მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის არა ეპიზოდურ, არამედ სისტემურ და უწყვეტ გაუმჯობესებას.ხარისხის მართვის პროცესი სტრუქტურირებულია შემდეგი ეტაპების მიხედვით:

- **დაგეგმვა (Plan):** ხარისხის განვითარების საწყის ეტაპზე ხდება სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა, რესურსების იდენტიფიცირება და კონკრეტული ღონისძიებების ვადების დაწესება. ამ საფეხურზე ყალიბდება მოლოდინები და ის ინდიკატორები, რომლებითაც შემდგომში უნდა შეფასდეს მიღწეული შედეგები.
- **განხორციელება (Do):** მეორე ფაზა მოიცავს დაგეგმილი აქტივობებისა და საგანმანათლებლო პროცესების პრაქტიკულ რეალიზაციას წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.
- **შეფასება და ანალიზი (Check):** ციკლის მესამე ეტაპი ეთმობა შესრულებული სამუშაოს სიღრმისეულ მონიტორინგს. აქ ხდება მიღწეული შედეგების შედარება დაგეგმილ მიზნებთან, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და იმ მიზეზების ანალიზი, რომლებმაც შესაძლოა ხარვეზები გამოიწვია (იქნება ეს დაგეგმვის ხარვეზი თუ შესრულების ფაზაში წარმოქმნილი გამოწვევა).
- **რეაგირება და გაუმჯობესება (Act):** დასკვნით ეტაპზე, მიღებული ანალიზის საფუძველზე, მუშავდება რეკომენდაციები და ხორციელდება საჭირო კორექტირება. ეს გულისხმობს მარეგულირებელი დოკუმენტებისა თუ შეფასების ინსტრუმენტების განახლებას, რაც საფუძველს უყრის ხარისხის განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას.

თვითშეფასების ეს „უწყვეტი სპირალი" დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, მოახდინოს მიღწევების კონსერვაცია და პარალელურად, მუდმივად იმუშაოს სუსტი მხარეების ტრანსფორმაციაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტურად დადასტურდა დაწესებულების მიერ აღნიშნული ციკლის პრაქტიკული გამოყენება თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში, რაც მიუთითებს ხარისხის მართვის გააზრებულ და არა ფორმალურ მიდგომაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

### რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის მიერ 2025 წლის 11აპრილის №ბ32.84251016 ბრძანებით; დოკუმენტში გაწერილია დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპები, დაწესებულებაში ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა, ვადები, ეტაპები, ბავშვის გადაყვანის და ბავშვის ამორიცხვის წესი, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვების ჩარიცხვის წესი, სარეზერვო სიები და ამ წესით განსაზღვრული პროცესების წარმართვაზე პასუხიმგებელი პირი/ორგანო; დოკუმეტში გაწერილია დოკუმეტების ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც მოხდება ბავშვის ჩარიცხვა, კერძოდ:
ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება ბაღების გაერთიანების მმართველის სახელზე;
ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
ე) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
ვ) ბავშვის ფოტოსურათი;
თ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ზ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
ი) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;
კ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე
ლ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის)
ნ) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ო) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ;
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ „ბავშვების ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ის თანახმად მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება. ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის

პროცესი ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად, რაც დასტურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადებით ბავშვის ჩარიცხვის თაობაზე, გაფორმებული ხელშეკრულების შაბლონით;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

### 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის პირად საქმეებს აწარმოებს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის", ხოლო ბავშვთა პირად საქმეებს „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად. „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში" (მუხლი 22. თანამშრომელთა პირადი საქმეები) გაწერილია პერსონალის მიერ წარსადგენი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც უნდა ინახებოდეს თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში. კერძოდ:

ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;

ბ) რეზიუმე;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;

თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);

ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

საგულისხმოა, რომ „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის (*დაწესებულების პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა*) თანახმად, დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნა ასახულია თავად დაწესებულების „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტშიც“ (მუხლი 17, პუნქტი 2). შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნასამართლობის შესახებ ცნობები უნდა წარმოადგენდეს თითოეული თანამშრომლის პირადი საქმის სავალდებულო შემადგენელ ნაწილს; ავტორიზაციის პროცესში აღნიშნული დოკუმენტაცია სრულად იქნა წარმოდგენილი.
პერსონალის პირად საქმეებში არ იყო „შინაგანაწესის“ გაცნობის ხელწერილი, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა შეხვედრის ოქმი, პერსონალის ხელმოწერებით დაწესებულების „შინაგანაწესის“ გაცნობის შესახებ; ასევე უნდა აღინიშნოს, დაწესებულებაში არსებული პირად საქმეები სრულყოფილად არ მოიცავს გაერთიანების მიერ დადგენილი წესით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტს (მაგ. CV); პარალელურად, გამოიკვეთა რიგი დოკუმენტების ვადაგასულობის პრობლემა, მაგალითად: ჯანმრთელობის ცნობის;

რაც შეეხება ბავშვების პირად საქმეებს, რომელსაც არეგულირებს „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ , რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11 აპრილის №ბ32.84251016 ბრძანებით, ბავშვის ჩარიცხვა ხდება შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე:
ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება ბაღების გაერთიანების მმართველის სახელზე;
ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
ე) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
ვ) ბავშვის ფოტოსურათი;
თ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ზ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
ი) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;
კ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე
ლ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის)
ნ) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ო) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ;

მარეგულირებელ წესში (მუხლი 5.დაწესებულებაში ბავშვების ჩარიცხვის ეტაპები და მათი განხორციელების წესი) ასევე გარკვევით წერია, რომ: „ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის მიერ გამოიცემა ბრძანება ბავშვის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.“ ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პირადი საქმეების წარმოების წესი;

პერსონალის პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლისას გამოიკვეთა შეუსაბამობა დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის ნაწილში. კერძოდ, ხელშეკრულებებში გაწერილი პირობები თანხვედრაში არ არის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ №1 დანართთან, რომელიც პოზიციების მიხედვით განსაზღვრავს თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულებებსა და შიდა რეგულაციებს შორის არსებული აცდენა აფერხებს დაწესებულების მიერ აღებული ვალდებულებების პრაქტიკულ შესრულებას, რაც პირდაპირ კავშირშია სააღმზრდელო პროცესის უსაფრთხოებასთან.
ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში დასაქმებულსა და დამსაქმებულს შორის დადებულია ერთთვიანი ხელშეკრულება, ზედიზედ ყოველი ახალი თვის დასაწყისში. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებების განახლება და გაგრძელება ხორციელდება პერიოდულად, მოკლე ვადით. ასეთი პრაქტიკა კი შესაძლოა გარკვეულწილად ზღუდავდეს პერსონალის პროფესიულ სტაბილურობას და გრძელვადიან მოტივაციას. ეს შეიძლება გავლენას ახდენდეს სამუშაო გარემოს მდგრადობაზე, რადგან მუდმივი განახლების რეჟიმი ქმნის გაურკვევლობის რისკს თანამშრომლებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს:** მოიყვანოს წესრიგში პერსონალის პირადი საქმეების წარმოების პროცესის სრული შესაბამისობა კანონმდებლობითა და მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ: შეიმუშაოს და დაამტკიცოს „პირადი საქმეების წარმოების წესი“, სადაც დეტალურად განისაზღვრება სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათი წარმოდგენისა და განახლების ვადები, ასევე პასუხისმგებელი პირი/პირები; უზრუნველყოს, რომ პერსონალის ყველა პირადი საქმე შეიცავდეს კანონმდებლობით მოთხოვნილ დოკუმენტებს; ასევე დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომით ხელშეკრულებებში ასახული უფლება-მოვალეობების სრული თანხვედრა შიდა მარეგულირებელ წესებთან და სამუშაო აღწერილობებთან.

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

**სასურველია,** დაწესებულებამ გაითვალისწინოს: ბაღების გაერთიანებამ ყველა პერსონალთან შრომითი ურთიერთობები გახადოს გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს თანამშრომლების პროფესიული სტაბილურობა, მოტივაცია და სააღმზრდელო პროცესის უწყვეტობის ხარისხი.

..........................................................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც სრულად პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაწესებულება ხარვეზის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს პერსონალის პირადი საქმეების წარმოების პროცესის სრულ შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობითა და მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შეიმუშავებს და დაამტკიცებს „პირადი საქმეების წარმოების წესს", ამასთანავე, დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ პერსონალის ყველა პირადი საქმე შეიცავდეს კანონმდებლობით მოთხოვნილ დოკუმენტებს, და შრომით ხელშეკრულებებში ასახული უფლება-მოვალეობები სრულ თანხვედრაში იქნება შიდა მარეგულირებელ წესებთან და სამუშაო აღწერილობებთან. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), შესაბამისი ადამიანური რესურსი ( საბავშვო ბაღის დირექტორი და საქმისმწარმოებელი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027 წწ. (12 თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

..........................................................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა" დამტკიცებული ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისდაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 14.05.2026 წლის № ბ32.8425128001 ბრძანებით;
- ✓ „ ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი " დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისდაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11 აპრილის №ბ32.84251016 ბრძანებით;
- ✓ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით" , დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 11.04. 2025 ბ32. 84251015 ბრძანებით;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ გასაუბრების შედეგები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | **არ შეესაბამება** ☒ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

### 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

### 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესი არ არსებობს, თუმცა სააღმზრდელო პროცესის განმავლობაში ბავშვთა ჯანმრთელობის მუდმივ მონიტორინგსა და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს კვალიფიციური მედდა. დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა გაწერილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში -12 თვე (მეტწილი); შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები - კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ:

უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მიღება განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები (ბაღების გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსი (გაერთიანების ბიუჯეტი);
დაწესებულებას საჯარო სივრცეში (ორივე სართულზე) განთავსებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების ცეცხლმაქრები, დაწესებულებაში დამონტაჟებულია ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სიგნალიზაციის სისტემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უნდა იზრუნოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებასა და უფლებამოსილ ორგანოსთან მის შეთანხმებაზე, რათა აღნიშნული დოკუმენტი სრულად პასუხობდეს უსაფრთხოების მოქმედ მოთხოვნებსა და დაწესებულების სპეციფიკას.

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

**სასურველია,** დაწესებულებამ კონსულტაცია გაიაროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და სასურველია კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით განახორციელოს საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისთვის მოსამზადებელი სიმულაციური წვრთნები.

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაშურის მუნიციაპლიტეტის №19 საბავშვო ბაგა-ბაღში აღწერილი არაა მათ ტერიტორიაზე არსებული მცენარეების დასახელება და მათი რაოდენობა (ეზოს ტერიტორიაზე დგას ხეები, მათ შორის გადაჭრილი), შესაბამისად არ ჩანს, ბაღის გტერიტორიაზე არსებული მცენარეები (ხეები) არის თუ არა სახიფათო ბავშვების და პერსონალის ჯანმრთელობისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს:** ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერის განხორციელება კომპეტენტური სპეციალისტის მიერ, რაც მოიცავს მათი სახეობისა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო რისკების შეფასებას/აღწევას.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაწესებულება უზრუნველყოფს ბაღის ტერიტორიაზე მცენარეების აღწერას კომპეტენტური სპეციალისტის მიერ; ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), შესაბამისი ფინანსური რესურსი ( გაერთიანების ბიუჯეტი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027 წწ. (12 თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ამ ეტაპზე დოკუმენტის სახით ჯერ არ აქვს გაწერილი კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესები და პროცედურები. თუმცა, აღნიშნული პროცესის სათანადოდ წარმართვის მიზნით, დაწესებულებამ შაბლონების სახით წარმოადგინა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის ფორმები — როგორც ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის თანხმობაზე, ისე ფოტო/ვიდეო გადაღებასა და მასალების გამოქვეყნებაზე. ინდიკატორის მოთხოვნათა შესაბამისად, მომავალში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სწორედ ხსენებული წერილობითი თანხმობების საფუძველზე განხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული**

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს:** შეიმუშაოს და დაამტკიცოს ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურები დოკუმენტის სახით, სადაც დეტალურად განისაზღვრება პასუხისმგებელი პირები, თანმიმდევრული მოქმედებები და უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, რათა უზრუნველყოს პროცესის სტანდარტიზაცია, გამჭვირვალობა და ბავშვთა უსაფრთხოების უფრო მაღალი ხარისხით დაცვა;

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაწესებულება უზრუნველყოფს: შეიმუშაოს და დაამტკიცოს ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის წესი/პროცედურები; ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), შესაბამისი ადამიანური რესურსი ( ბაღის დირექტორი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027 წწ. (12 თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

### 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

**1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამ ეტაპზე დაწესებულებაში არ არის განთავსებული ორიენტაციისთვის საჭირო ვიზუალური მინიშნებები. გარდა ამისა, დაწესებულებას არ გააჩნია ბენეფიციართა ტრანზიციის მართვის წესი, რომელიც გაწერილი და დამტკიცებული იქნება ოფიციალური დოკუმენტის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

.....................................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** შეიმუშაოს და დაამტკიცოს ტრანზიციის მართვისა და გარემოს პროგნოზირებადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ვიზუალური მინიშნებების გამოყენების, დღის განრიგის გაცნობისა და აქტივობების მონაცვლეობის შესახებ აღსაზრდელების წინასწარი ინფორმირების წესი. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყებისთანავე, მნიშვნელოვანია პრაქტიკაში დაინერგოს დამტკიცებული პროცედურები, რათა თითოეულმა ბავშვმა თავი იგრძნოს უსაფრთხოდ, ფლობდეს ინფორმაციას დღის განრიგის შესახებ და მარტივად შეძლოს ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა, რაც ხელს შეუწყობს მათი ემოციური სტაბილურობის შენარჩუნებას.

.....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაწესებულება უზრუნველყოფს:შეიმუშაოს და დაამტკიცოს ტრანზიციის მართვისა და გარემოს პროგნოზირებადობის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), შესაბამისი ადამიანური რესურსი ( ბაღის დირექტორი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027 წწ. (12 თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

.....................................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელთა მიერ ბავშვის უფლებების, ბავშვთა დაცვისა და ადრეული განათლების საკითხებზე გავლილი ტრენინგები დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით, რომლებიც ინახება მათ პირად საქმეებში. აღსანიშნავია, რომ ბაღის სპეც მასწავლებელს გავლილი აქვთ ტრენინგი

თემაზე: „წარმატების ფსიქოლოგია“, „ ბავშვთა მიმართ ძალადობა და რეფერირების პროცედურები“, „ბავშვთა არტთერაპია“ და „ემოციების მართვა“, რაც ასევე დასტურდება პირად საქმეში არსებული სერტიფიკატებით;
ინტერვიუს შედეგად, თვალსაჩინო გახდა, რომ აღმზრდელები ისეთ სასწავლო პროგრამებსა და აქტივობებს ახორციელებენ, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებში საკუთარი უფლებების გაცნობიერებას და მათ პატივისცემას. გასაუბრების შედეგად ასევე დადგინდა, რომ საბავშვო ბაღის პერსონალი იცნობს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სამოქმედო დოკუმენტს „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025წლის11 აპრილის N ბ32.84251013 ბრძანებით და იცის შესაბამისი პროცედურები;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი: „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებებითვის. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11 აპრილის Nბ32.84251013 ბრძანებით; სტატუსის მაძიებელს რეფერირებაზე პასუხიმგებლ პირად განსაზღვრული ჰყავს ბაღის მეთოდისტი, რომელიც დასტურდება ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 13.03.2026 წლის № ბ32.8426072011 ბრძანებით რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ და აღსანიშნავია, რომ ბაღის მეთოდისტს გავლილი აქვს საბავშვო ბაღების საკონსულტაციო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი :„ ბავშვთა მიმართ ძალადობა და რეფერირების პროცედურები“;

დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი ნაბიჯები, კერძოდ: რეგულირების სფერო, დაწესებულების როლი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში, ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველი, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხიმგებელი პირი და რეაგირების მექანიზმი, ნაპოვნი/მიტოვებული ბავშვის რეფერირება, ინფორმაციის კონფიდენციალურობა და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურული წესები და შესაბამისი დანართები.

აღნიშნული წესი შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც ეხება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცებას“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაშურის მუნიციპალიტეტის №19 საბავშვო ბაღში დაწესებულების შიდა და გარე სივრცეებში ამ ეტაპზე არსებული ცენტრები არაა დასურათებულია, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და გაწერილი ტრანზაციის და ადაპტაციის გეგმა, კერძოდ: არ არსებობს როგორც გარე, ასვე შიდა ტრანზაციები: სახლიდან ბაღში შესვლა, თამაშის პროცესიდან სადილის პროცეზსე გადასვლა, ჯგუფში აქტივობიდან ეზოში განსახორციელებულ აქტივობაზე გადასვლა და ძილის პერიოდი. თუმცა გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საბავშვო ბაღში მუშაობენ შეიმუშაონ ეფექტური წესი ბავშვების ბაღთან ადაპტაციის კუთხის სახით, რომელიც ეხება წინასწარ საორიენტაციო შეხვედრებს მშობლებთან. ასევე დაწესებულება წლის დასაწყისში დაგეგმავს, რომ ბავშვებს ჩაუტაროს შიდა ექსკურსია და დაათვალიერებინოს ბაღი, რათა მათ გაუადვილდეთ უცხო გარემოსთან შეგუება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** შეიმუშაოს და დაამტკიცოს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზაციის გეგმა; ასევე უზრუნველყოს ბაღის შიდა და გარე ცენტრების ბავშვისთვის გასაგები სიმბოლოებით, ნახატებით ან ფოტოებით დასურათება;

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაწესებულება უზრუნველყოფს: შეიმუშაოს და დაამტკიცოს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზაციის გეგმა; ასევე უზრუნველყოფს ბაღის შიდა და გარე ცენტრების ბავშვისთვის გასაგები სიმბოლოებით, ნახატებით ან ფოტოებით დასურათება; ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), შესაბამისი ადამიანური რესურსი ( მეტოდისტი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027 წწ. (12 თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაშურის მუნიციპალიტეტის №19 საბავშვო ბაღის სტრუქტურაში გათვალისწინებულია თანამშრომელთა, ჩარიცხულ აღსაზრდელთა და მათ მშობელთა შესახებ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის წარმოება და მართვა. ბავშვისა და მისი ოჯახის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, სტატუსის მაძიებელმა შაბლონის სახით წარმოადგინა მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმები ფოტო/ვიდეო გადაღებაზე, ჩანაწერების მომზადებასა და სოციალურ ქსელში განთავსებაზე, რაც მომავალში ბავშვის პირად საქმეში შეინახება. თუმცა, ვინაიდან დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის ფაზაშია, მას ამ ეტაპზე დოკუმენტურად ჯერ კიდევ არ აქვს გაწერილი

პერსონალური მონაცემების დაცვის სრული პროცედურები. კერძოდ, არ არის განსაზღვრული მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი), მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტთა წრე და ინფორმაციის შენახვა-დამუშავების მკაცრად რეგლამენტირებული წესი, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების უფლებების პრაქტიკულ დაცვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული**;

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირებისა და სამართლებრივი სტანდარტების დაცვის მიზნით, დაიწყოს მუშაობა პერსონალური ინფორმაციის დაცვის შიდა მექანიზმების ფორმირებაზე. შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს ინფორმაციის შენახვისა და გამოყენების თითოეულ ეტაპს. ამ პროცესის წარმართვისთვის გამოიყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (ოფიცერი), რომელიც იქნება ორგანიზაციაში მონაცემთა უსაფრთხოების გარანტი და კოორდინაციას გაუწევს სუბიექტების უფლებების დაცვას. რეკომენდებულია, ასევე, მკაფიოდ გაიმიჯნოს იმ თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთაც სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მონაცემებზე წვდომა ესაჭიროებათ. მსგავსი სისტემური მოწესრიგება დაწესებულებას საშუალებას მისცემს, პრაქტიკულად უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების მკაცრად რეგლამენტირებული წესი, რაც ერთი მხრივ აამაღლებს ორგანიზაციულ კულტურას, ხოლო მეორე მხრივ, სრულ შესაბამისობაში მოიყვანს საქმიანობას არსებულ რეგულაციებთან.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმა, რომელიც პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაწესებულება უზრუნველყოფს: შეიმუშაოს და დაამტკიცოს პერსონალური ინფორმაციის დაცვის შიდა მექანიზმები შეიქმნას დოკუმენტი, გამოყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი; ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), შესაბამისი ადამიანური რესურსი ( იურისტი, საქმისმწრმოებელი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027 წწ. (12 თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისდაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11აპრილის N  ბ32.84251013 ბრძანებით;
- ✓ მშობლის წერილობითი ნებართვის შაბლონი (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვ.);
- ✓ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისდაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 13.03.2026 წლის № ბ32.8426072011 ბღძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ;
- ✓ დღის განრიგი;
- ✓ ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის/ტრანზიციის ამსახველი მასალები;
- ✓ გასაუბრების შედეგები

| **შეფასება:** | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ფინანსური მდგრადობა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება ეფუძნება ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026 წლის 1 იანვრის ბიუჯეტის პროექტით; ფინანსური რესურსების

განაწილება სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ სრულად ფარავს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა საკვანძო კომპონენტს. ბიუჯეტის დოკუმენტაცია მოიცავს ისეთ მუხლებს, როგორიცაა შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, საკანცელარიო საქონლის შეძენის ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ასევე კვების, სამედიცინო და რბილი ინვენტარისა თუ უნიფორმების შეძენის ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები. აღნიშნული მრავალფეროვანი ფინანსური კომპონენტები წარმოადგენს გარანტს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვანი რეალიზაციისთვის.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს დაწესებულების ფინანსური მართვის სპეციფიკა: ვინაიდან ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, მისი ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალიზებულად. სააგენტოს ერთიანი ბიუჯეტი არ ითვალისწინებს თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის იზოლირებული ხარჯთაღრიცხვის გამოყოფას; ნაცვლად ამისა, ყველა ბაღის საჭიროება შესწავლილია და ასახულია მთლიანი წლის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში. მართვის აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ განაწილებასა და მასშტაბის ეფექტს, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტურ გადაჭრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **შესაბამისობაშია;**

..................................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026 წლის 1 იანვრის ბიუჯეტი და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია გადაცემული მატერიალური რესურსების შესახებ. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტებით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად ადეკვატურად არის განაწილებული ფინანსები ბიუჯეტში **ხაშურის მუნიციპალიტეტის N19 საბავშვო ბაღის** კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრებით

გაირკვა, რომ ჯგუფებისა და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებებისთვის რესურსების მოთხოვნა ხდება ეპიზოდურად. პროცესი შემდეგნაირია: აღმზრდელი მოკლე ჩანაწერით ათანხმებს საჭიროებებს ბაღის დირექტორთან, რომრლიც გადასცემს გაერთიანების მმართველს, ხოლო შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტიდან.
დოკუმენტაციაში არ იკითხება კონკრეტულად ხაშურის მუნიციპალიტეტის № 19 საბავშვო ბაღის საჭიროებები, რომლებიც გამომდინარეობს კურიკულუმის მოთხოვნებიდან და ბავშვთა ზღვრული რაოდენობიდან. შესაბამისად, რთულია იმის შეფასება, რამდენად პასუხობს არსებული შესყიდვები ბაღის რეალურ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო საჭიროებებს.

სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფისა და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების დამატებითი მოთხოვნის მექანიზმი. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, აღმზრდელის მიერ მომზადებული მოკლე ჩანაწერის (რესურსების ჩამონათვალის) საფუძველზე, ინფორმაცია მიეწოდება გაერთიანების მმართველს, რის შემდგომაც შესყიდვა განხორციელდება გაერთიანების ბიუჯეტიდან, თავისუფალი განკარგვის სახსრების ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** უზრუნველყოს ბიუჯეტის წარმოდგენა, რომელიც მოიცავს ყველა მუხლსა და მიმართულებას დეტალურად გაწერილი სახით. წარმოდგენილ ბიუჯეტში უნდა აისახოს, რა ოდენობის ფინანსური რესურსია გათვალისწინებული უშუალოდ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისათვის, მათ შორის: საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გამართულად განხორციელება, პერსონალის პროფესიული განვითარება და სხვა აუცილებელი,საჭიროებები;
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც სრულად პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორის 4.7.1.2-ის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულება უზრუნველყოფს ბიუჯეტის ისეთი ფორმით შემუშავებას, რომელიც მოიცავს ყველა მუხლსა და მიმართულებას დეტალურად გაწერილი სახით. კერძოდ, ფინანსურ დოკუმენტში მკაფიოდ აისახება, თუ რა ოდენობის ფინანსური რესურსია გათვალისწინებული უშუალოდ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისათვის, მათ შორის: საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვის, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გამართულად განხორციელების, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების დასაფინანსებლად. ინდიკატორის

დასაკმაყოფილებლად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი), შესაბამისი ადამიანური რესურსი (გაერთიანების მთავარი ბუღალტერი), ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027 წწ. (12 თვე).

შესაბამისად, იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამ ეტაპზე ფინანსური რესურსების მართვის სისტემის შეფასება ვერ მოხერხდა, რადგან დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი დებულება, რომელიც განსაზღვრავს რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის მექანიზმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

**ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს:** წარმოადგინოს დებულება/წესი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ფინანსური რესურსების მართვის პროცესები, მათ შორის: დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა ასახავდეს, როგორ ხდება ბიუჯეტის შედგენა, მისი განაწილება დაწესებულების მიერ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და რა წესით ხორციელდება დანახარჯების კონტროლი.

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: დაწესებულებამ მოახდინოს პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა, სადაც ხარჯები დაჯგუფდება არა მხოლოდ ეკონომიკური მუხლებით, არამედ კონკრეტული პროგრამებითა და მიზნებით (მაგ. „კურიკულუმის განვითარების პროგრამა“, „ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამა“).

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც სრულად პასუხობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორის 4.7.1.3.-ისმოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებ უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მოწესრიგებას. კერძოდ, განხორციელდება სპეციალური დებულების შემუშავება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმებს. უზრუნველყოფილ იქნება აღნიშნული დებულების ოფიციალური დამტკიცება და გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნული გეგმის ხარისხიანად შესასრულებლად განსაზღვრულია პასუხისმგებელ პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო ადამიანური რესურსი (გაერთიანების მთავარი ბუღალტერი); ვადად განსაზღვრულია 05.06.2026-05.06.2027 წწ. (12 თვე).

შესაბამისად იცვლება ექსპერტთა შეფასება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება;**

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026 წლის 1 იანვრს დამტკიცებული ბიუჯეტი;
- ✓ წლიურ გეგმაში CPV კოდზე ასახული თანხის ცვლილებების შესახებ;
- ✓ სახელმწიფო შეყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტები( 2026 წლის 26 მარტის ხელშეკრულება № 44 ; 2026 წლის 03 აპრილის № 49 ხელშეკრულება; 2026 წლის 03 აპრილის № 50 ხელშეკრულება);
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტები;
- ✓ 2026 წლის 19 თებერვლის ხაშურის № 19 საბავშვო ბაღის დირექტორის მოხსენებითი ბარათი საკანცელარიო ნივთების მოთხოვნის შესახებ;
- ✓ გასაუბრების შედეგები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

<u>ხელმომწერი</u> <u>სახელი გვარი</u> <u>ხელმოწერა</u>

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე**

*ხარისხის ექსპერტი* მიმოზა ღოლიჯაშვილი



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

*კურიკულუმის ექსპერტი:* ***თამარ ლომიძე***



*კვების დარგში ექსპერტი:* ***სალომე ბოჭორიშვილი***



*სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:*
***თამარ ჭონიშვილი***

თ. ჭონ.

<u>თარიღი</u> 15/06/ 2026

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი №1

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება;<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):ხაშურის მუნიციპალიტეტის № 19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება) | ბრძანების N: 18/04/2026 MES 2 26 0000449615 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:ხაშური, სურამი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: *29.04.2026-30.04.2026* |

კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | 1.ა(ა) იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მიწერილობა შ.ს.ს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მთავარი სამმართველოს უფროსისადმი; 2.„ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ -დამტკიცებულია ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11 აპრილის №ბ32. 84251016 ბრძანებით;<br>3.„ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“- დამტკიცებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11 აპრილის Nბ32. 84251014 ბრძანებით; 4.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>6.შესაბამისობის გეგმა; |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

### ა

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ნანახი იქნა ადგილზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვლინდება, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით დადასტურდა ცდომილება შენობა-ნაგებობების შიდა აზომვით ნახაზებში. კერძოდ, ჩუმათელეთის მე-19 ბაზის შემთხვევაში, ფართობის მონაცემები მატერიალურ (ქაღალდის) და ელექტრონულ ვერსიებს შორის ერთმანეთს არ ემთხვევა. რის საფუძველზეც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა სააგენტოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ-თუმცა ამ ეტაპზე ვადის გასვლის (1 თვე) გამო პროცესები შეჩერებულია- შესაბამისად დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ახალი სქემა; დაწესებულებას ასევ არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ); | დაწესებულებამ უზრუნველყოს აქტივობების განხორციელება და ხარვეზის აღმოფხვრა, კერძოდ: უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) დოკუმენტის წარმოდგენა. ასევე უზრუნველყოს და წარმოადგინოს შენობა-ნაგებობის სქემა; | | დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (შპს თბილისის ესპერტიზის ბიურო) დასკვნა; ასევე დაწესებულებამ წარმაოდგინა მიწერილობა შესაბამის ორგანოსთან (ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია) შენობა-ნაგებობის განახლებული სქემის შესახებ, თუმცა გეგმა ვერ წარმოადგინა; ექსპერტთა ჯგუფმა ეს გარემოება ვერ მიიღო მტკიცებულებად და შესაბამისად ექსპერტთა შეფასება არ იცვლება; ინდიკატორი **არ არის დაკმაყოფილებული;** |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| **2.1.** | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.2.** | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების შენობა ორსართულიანია, ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ჯგუფური ოთახები შერჩეულია საერთო სივრცით არანაკლეებ 2 კვმ. გამოყოფილია ცალკე სივრცე პირადი ნივთების შესანახად. იზოლირებული საძინებელი ოთახი აქვს 2-3 და 3-4 წლიან ჯგუფს, ხოლო სხვა ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელებისთვის გათვალიწიენებულია დასასვენებლი სივრცე. დაწესებულებას აქვს გამოყოფილი სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის. დაწესებულებას ყველა ჯგუფისთვის განკუთვნილ ოთახში გამოყოფილი აქვს ცალკე სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის. დაწესებულებას აქვს ასევე სააქტო დარბაზი, სამედიცინო მომსახურების სივრცე, თუმცა ამ ეტაპზე არაა მოწყობილი. ასევ დაწესებულებას აქვს კვების ბლოკი და სამეურნეო ზონა. დაწესებულებაში არაა გამოყენებული აზბესტის მასალა. დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებაში არის პანდუსი, ბაქანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. დაწესებულების შიდა სივრცეში მინიშნებები ბავშთა თავისუფლად გაადაადგილებისთვის ჯერ არაა მითითებული; | დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა სივრცეები შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით აღჭურვა, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას; ასევე უზრუნველყოს სამედიცინო ოთახის აღჭურვა საჭირო რესურსით; | სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს დოკუმენტი (წესდება), სადაც განსაზღვრავს სამედიცინო ოთახისთვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალს; | დაწესებულებამ ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფს შიდა სივრცეები შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით აღჭურვას, ასევე უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას საჭირო რესურსით; შესრუების ვადად განსაზღვრა 12 თვე (05.06.2026-05.06.2027); შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტილ შესაბამისობაშია;** |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში უნიტაზებისა და ხელსაბანების რაოდენობა შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ. სანიტარულ კვანძებში არაა დაცული პრივატულობა; დაწესებულებაში არის განთავსებული ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის, თუმცა ხელსაბანის ზომა არ შეესაბამება საბავშვო | რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტის გათვალისწინებით ხარვეზის აღმოფხვრა, კერძოდ: დაწესებულების მოქმედ სანიტარულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით მოაწყოს ტუალეტის კაბინები სტანდარტის შესაბამისად. ასევე უზრუნველყოს შეზღუდული | | დაწესებულებამ ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფს:დაწესებულების მოქმედ სანიტარულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით მოაწყოს ტუალეტის კაბინები სტანდარტის შესაბამისად. ასევე უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ხელსაბანის |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი**) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | ზომებს; დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირებისთვის; | შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ხელსაბანის შესაბამისი ზომის მონტაჟი. | | შესაბამისი ზომის მონტაჟი. შესრულების ვადად განსაზღვრა 12 თვე (05.06.2026-05.06.2027); შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტილ შესაბამისობაშია;** |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ეზო, რომლის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არანაკლებ 3 კვმ.-ია. ეზოს საერთო ფართი შეადგენს 4309.5 მ²-ს; ეზოს ღობის სიმაღლე უმეტესად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა ეზოს წინა შემოსასვლელის გზის მხარეს, მარცხენა ღობის სიმაღლე (140 სმ)არ შეესაბამება სტანდარტით გათვალიწინებულ ნორმებს; | დაწესებულებამ უზრუნველყოს ეზოს ღობის იმ ნაწილში,სადაც მისი სიმაღლე არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, მოიყვანოს შესაბამისობაში; | | დაწესებულებამ ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფს:ეზოს ღობის იმ ნაწილში,სადაც მისი სიმაღლე არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, მოიყვანოს შესაბამისობაში; შესრულების ვადად განსაზღვრა 12 თვე (05.06.2026-05.06.2027); შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტილ შესაბამისობაშია;** |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (წესებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩათვლით) და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას (საჭიროების შემთხვევაში)** | | | | | დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი არ არეგულირებს არსებული დაწესებულებისთვის, (ჩუმათელეთის საბ. ბაღი) წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფის საკითხებს. დაწესებულებაში წყალმომარაგება ცენტრალიზებულია, თუმცა, მარეგულირებელ წესში არ არის ასახული კონკრეტული დაწესებულების წყალმომარაგების ტიპი, წყლის მიმწოდებელი კომპანია, მისი აბონენტად რეგისტრაციის ნომერი. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სასმელი წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული კვლევის ოქმი. დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია ადგილობრივი კანალიზაცია, სადაც ჩაედინება ნახმარი წყლები.(პერსონალის გადმოცემით, იგი წარმოადგენს „ბიოტალი“ს ტიპის ორმოს, თუმცა იდენტიფიცირებისთვის ადგილზე ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია)<br>დაწესებულების შიდა და გარე სივრცე აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულება არ იყო უზრუნველყოფილი ყველა საჭირო რესურსითა და ინვენტარით, თუმცა არის მზაობა, საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნას ყველა საჭიროებით. (გაერთიანების მხრიდან წარმოდგენილია მტკიცებულება „ ააიპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანება-ბიუჯეტის პროექტი 2026 წლის იანვრიდან“ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის, საჰაერო-სითბური რეჟიმების მართვის საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს.<br>წესში გაწერილია ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო სიტუაციის დროს ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმირების და რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის ფორმა.<br>მარეგულირებელ წესს დანართის სახით ახლავს სტანდარტული ოპერაციული პროცედურების დამტკიცებული შაბლონი, თუმცა არ არის შემუშავებული აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ პროცესსა და რესურსებზე, სადაც გამიჯნული იქნება პასუხისმგებლობები და კონკრეტული პირები. | დაწესებულებამ უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის გადახედვა, შემუშავებული იქნას სრულყოფილი დოკუმენტები, აღნიშნული დაწესებულებისთვის გაიწეროს წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფის ტიპი და მექანიზმები. დამტკიცდეს მხოლოდ დაწესებულებისათვის რელევანტური სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტულ პროცესებზე და რესურსებზე. ყველა სოპ-ში პროცედურები გაიწეროს მკაფიოდ, პროცესების თანმიმდევრობის დაცვით, მკაფიოდ გაიმიჯნოს პასუხისმგებლებები და მიეთითოს კონკრეტული სამსახურებრივი პოზიციები და/ან პერსონალის სახელი გვარი. სასწავლო სააღმზრდელო პროცესის დაწყებამდე დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნას ყველა საჭირო რესურსით და ინვენტარით | | დაწესებულებას წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში გადახედოს და სტანდარტთან შესაბამისობაში მოიყვანოს მარეგულირებელი წესი და შესაბამისი დანართები, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ პროცესებზე და რესურსებზე. სოპ-ებში განისაზღვროს პროცედურების შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, დაამტკიცოს აღნიშნული დოკუმენტები ყველა სავალდებულო ინფორმაციის გათვალისწინებით. უზრუნველყოს დაწესებულება ყველა საჭირო რესურსითა და ინვენტარით. |
| | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასუფთავება და ნარჩენების მართვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ჯგუფური ოთახების და საძინებლების იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე, ექვემდებარება სველი წესით დასუფთავებას. სანიტარული კვანძების, სამზარეულოს, სამრეცხაოების, კედლები მოპირკეთებულია მთელ სიმაღლეზე და ექვემდებარება სველი წესით დასუფთავებას და დეზინფექციას.<br>სანიტარული კვანძების, სამზარეულოს, სამრეცხაოს იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც.<br>დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად არ არის გამოყენებული მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები. | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გარეთ გაღებად ფანჯრებზე მოეწყოს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საჭირო ფინანსური რესურსი. (წარმოდგენილი იქნა „ ააიპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანება-ბიუჯეტის პროექტი 2026 წლის იანვრიდან“) | | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად, გარეთ გაღებად ფანჯრებზე მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეების მოწყობა. |
| | სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | **ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით.<br>დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება.<br>ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას.<br>ჯგუფური ოთახები, საძინებლები, სამზარეულოს ფანჯრები არ | ჯგუფური ოთახები, საძინებლები, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილი იქნას მზისგან დამცავი საშუალებით. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საჭირო ფინანსური რესურსი. ( წარმოდგენილი იქნა „ ააიპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანება-ბიუჯეტის პროექტი 2026 წლის იანვრიდან“) | | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს დაწესებულების შენობის ჯგუფური ოთახების, სამზარეულოს ფანჯრების აღჭურვა მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები, ჟალუზები ან/და სხვა საშუალებები). |
| | დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | არის აღჭურვილი მზისგან დამცავი საშუალებით. | | | |
| | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები. | | | |
| **4** | **ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალანირებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყალი) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყალი)<br>დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი). შენობის სიახლოვეს, გარე ტერიტორიაზე არსებულ შენობაში (გათბობის საქვაბე) დამონტაჟებულია წყლის სამარაგე 2 ავზი. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული წყლის სამარაგე ავზის რეცხვა-დეზინფექციის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა. ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენისა და დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმი.<br>დირექტორთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება იგეგმება: წყლის ინდივიდუალური კონტეინერების საშუალებით. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კონტეინერების ჯეროვნად რეცხვა-დასუფთავებას.<br>დაწესებულება უზრუნველყოფილია ადგილობრივი კანალიზაციით. კერძოდ, შენობის შიდა საკანალიზაციო ქსელი უერთდება დაწესებულების მიმდებარედ, შემოღობილ ტერიტორიაზე მოწყობილ საკანალიზაციო სისტემას- „ბიოტალი"ს ტიპის ორმოს. დაწესებულების გარე ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების არინება. | საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს და მარეგულირებელ წესში გაწეროს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მოწყობის ტიპი.<br>წარმოადგინოს სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენისა და დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br>დაწესებულებამ შეიმუშაოს წყლის სამარაგე ავზების რეცხვა-დეზინფექციის სოპ-ი. სასმელი წყლის ბავშვებისთვის კონტეინერებით მიწოდების შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კონტეინერების ჯეროვნად რეცხვა-დასუფთავებას. | | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს: მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანა, შესაბამისი სოპ-ების შემუშავება (წყლის სამარაგე ავზის რეცხვა დეზინფექციის სოპ-ი, წყლის კონტეინერების დასუფთავების სოპ-ი), სასმელი, საკვების მოსამზადებელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმის წარმოდგენა. |
| | დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება ხდება: | | | | | | | | |
| | ა) წყლის კონტეინერის საშუალებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბ) წყლის დისპანსერის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გ) წყლის შადრევნის საშუალებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყლის კონტეინერის საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1. წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას ირეცხება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით; 2) წყლის კონტეინერს აქვს თავსახური; 3) წყლის კონტეინერი არ დგას იატაკზე | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყლის დისპენსერების საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1) ხელმისაწვდომია ერთჯერადი გამოყენების ჭიქები; 2) წყლის დისპენსერის ავზი პერიოდულ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით; | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის წყაროდ არტეზიული ჭის არსებობის შემთხვევაში, ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) დაცულია გარედან რაიმე სახის დაბინძურებისაგან ბ) განთავსებულია არანაკლებს 30მ დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან გ) არ ხდება პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100მ რადიუსში დ) ჭა მოწმდება სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით ე) ჭას აქვს ღობე ცხოველებისგან დასაცავად ვ) ჭის გარშემო მოწყობილია სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ზ) წყლის ამოსაღები სათლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუფთად ინახება თ) ჭა ჩაკეტილი და თავდახურულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის დროს, ცხელი წყლით უზრუნველყოფილია კვების ბლოკი (სამზარეულო კერძების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონით), სანკვანძ(ებ)ი და სამრეცხაო (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის შემთხვევაში დაწესებულების კანალიზაციის სისტემა მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან/სეპტიკურ ავზთან შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) გარე სანიტარიულ კვანძს გააჩნია საასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით ბ) სან.კვანძის სავენტილაციო მილს აქვს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადე გ) სან.კვანძს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება დ) სან.კვანძს აქვს ფუნქციური ხელსაბანი ე) აქვს სან.კვნძთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი ვ) დაწესებულებას აქვს წინასწარგანსაზღვრული წესი მათი დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სანიტარიული კვანძი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ მდებარეობს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. სანიტარული კვანძის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან შეადგენდეს არანაკლებ 30 მ-ს. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივი წყლის მიწოდების არ არსებობის შემთხვევაში, დამონტაჟებულია სამარაგე ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით. სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი გამოიყენება მხოლოდ ტუალეტების ჩასარეცხად, ეზოს/გარე სივრცის დასუფთავებისა და მორწყვისთვის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემებში და სამშენებლო და სარემონტო სამუშაობის წარმოებისას. ტექნიკური წყალი არ გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, პირადი ჰიგიენისთვის, დასუფთავებისა და რეცხვისთვის. ტექნიკური წყალი ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელია, რაც ექვემდებარება კონტროლს დაწესებულების მხრიდან | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **5** | **მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელის განიავება (ორპირი/ერთმხრივი/გვერდითი/გამჭოლი) უზრუნველყოფილია რეგულარულად, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წესის მიხედვით. დაწესებულების პერსონალი იცნობს და იცავს განიავების წესებს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | განიავების წესები განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მარეგულირებელ წესში, დადგენილების შესაბამისად. ინტერვიუთ დასტურდება, რომ პერსონალი იცნობს და იცავს განიავების წესებს.<br>ტემპერატურის კონტროლისთვის კედელზე არ არის დამონტაჟებული თერმომეტრები.<br>დღის განრიგი შემუშავებულია მხოლოდ ერთი ასაკობრივი ჯგუფისთვის, ამიტომ იგი ვერ იქნება ვალიდური სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის. | დაწესებულებას აქვს მზაობა და საჭირო ფინანსური რესურსი, უზრუნველყოს ტემპერატურის კონტროლისთვის კედელზე თერმომეტრების განთავსება იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით.<br>შემუშავდეს დღის განრიგი ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, რათა დასტურდებოდეს სხვადასხვა ასაკის ბავშვების ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა. | | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს: ა) ტემპერატურის კონტროლისთვის კედელზე თერმომეტრების განთავსება იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე. ბ) დღის განრიგის შემუშავება ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. |
| | ტემპერატურის კონტროლისთვის თერმომეტრები დამონტაჟებულია კედელზე იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვების ყოველდღიური ჰაერზე ყოფნა/გასეირნებას დადგენილი ხანგრძლივობით, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **6** | **მოთხოვნები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისადმი/პირობების დაცვისადმი** | | | | | | | | |
| | **შენობის შიდა სათავსებში:** | | | | | | | | |
| | მთელი შენობის გენერალური დასუფთავება ხდება ყოველთვიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (შენობის გენერალური დასუფთავების, ეპიდ.მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯანდაცვის რეკომენდაციის შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოების, შიდა სათავსების სველი წესით დასუფთავების, იატაკის, ავეჯის ზედაპირების, სახელურების, ბავშვების კარადების, ვენტილაციის ჟალუზების, ფანჯრის მინების დასუფთავების), რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ პროცესსა და რესურსებზე, სადაც გამიჯნული იქნება პასუხისმგებლობები და კონკრეტული პირები. დეზინფექციისთვის გამოყენებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები/კომპოზიციები (“YMED FORTE” სარეგისტრაციო მოწმობა N308)<br>ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოები სრულად დამთავრებულია. აკრძალულია ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების წარმოება სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობისას. | შემუშავებული იქნას აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური შემდეგი სტანდარტული ოპერაციული პროცედურები: შენობის გენერალური დასუფთავების, ეპიდ.მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯანდაცვის რეკომენდაციის შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოების, შიდა სათავსების სველი წესით დასუფთავების, იატაკის, ავეჯის ზედაპირების, სახელურების, ბავშვების კარადების, ვენტილაციის ჟალუზების, ფანჯრის მინების დასუფთავების თაობაზე. განსაზღვრული იქნას პროცესზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები. | | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური სოპ-ების შემუშავება (შენობის გენერალური დასუფთავების, ეპიდ.მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯანდაცვის რეკომენდაციის შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოების, შიდა სათავსების სველი წესით დასუფთავების, იატაკის, ავეჯის ზედაპირების, სახელურების, ბავშვების კარადების, ვენტილაციის ჟალუზების, ფანჯრის მინების დასუფთავების თაობაზე) და პროცესზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა. |
| | სადეზინფექციო სამუშაოები ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული საჭიროებიდან და ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაბამისი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დეზინფექციისთვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები/კომპოზიციები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ყველა სათავსი სუფთავდება სველი წესით, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში (სადაც ეს შესაძლებელია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სვრცეები სველი წესით სუფთავდება დღეში ორჯერ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ავეჯის ზედაპირიდან (არაუმეტეს 2 მეტრს სიმაღლეზე), გამათბობელი მოწყობილობიდან, განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარის სახელური, კარადის სახელურების და სხვ), ფანჯრის რაფებიდან მტვერი სველი წესით იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვების ტანსაცმლის კარადები ყოველდღიურად იწმინდება შესაბამისი ზედაპირების მოვლისათვის განკუთვნილი საშუალებით. კვირაში ერთხელ ირეცხება/მუშავდება სველი წესით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | გამწოვი ვეტნილაციის ჟალუზები ღიაა და სისტემატიურად იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, ხოლო დახურულია, მხოლოდ შენობის შიგნით და გარეთ ტემპერატურა მკვეთრი სხვაობის დროს, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ფანჯრის მინები შიგნიდან და გარედან იწმინდება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით და დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ,რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | აკრძალულია ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების წარმოება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას (კედლების, ჭერის, ფანჯრის ჩარჩოების შეთეთრება/შეღებვა და სხვ). | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ინვენტარი:** | | | | | | | | |
| | ახლად შეძენილი სათამაშოები (რბილის გარდა) ბავშვებისთვის მიწოდებამდე ირეცხება 15 წუთის განმავლობაში, 37˚ C-ის ტემპერატურის წყლითა და საპნით, შრება ჰაერზე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | ვიზიტის დროს დაწესებულება არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი ინვენტარით, სათამაშოებით, თეთრეულით, ლოგინით, საფენის გამოსაცვლელი მაგიდებით, ქაღალდის პირსახოცის დისპენსერებით. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს: ახლად შეძენილი და სხვა სათამაშოების რეცხვას, დეზინფექციას; თეთრეულის გამოცვლას, მარკირებას; ლოგინის ქიმიურ წმენდას; საფენების გამოსაცვლელი მაგიდების მოვლა-დასუფთავებას; სანიტარული კვანძის და მისი ინვენტარის; ჯგუფური ოთახების მაგიდებისა და სკამების დასუფთავებას.<br>ხელსაბანები უზრუნველყოფილია საპონით, ხელის გასამშრალებელი და ტუალეტის ქაღალდით (წარმოდგენილია ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის აქტები და ბიუჯეტი)<br>დაწესებულება არ არის უზრუნველყოფილი ქაღალდის პირსახოცის დისპენსერებითა და უკონტაქტო ხელმისაწვდომობის თავსახურიანი ნაგვის ურნებით.<br>დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა.<br>საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება პირვანდელი შეფუთვით (რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით) ბავშვებისათვის და გარეშე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ ოთახში.<br>დასალაგებელი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია იზოლირებული სათავსი. | დაწესებულებას გააჩნია მზაობა და გათვალისწინებული აქვს ფინანსური რესურსი საჭირო ინვენტარის: სათამაშოების, თეთრეულის, ლოგინის, საფენის გამოსაცვლელი მაგიდების, ელექტროსაშრობების ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერების, სან.კვანძის დასალაგებელი ინვენტარის, მაგიდების, სკამების შესაძენად. (წარმოდგენილი იქნა „ ააიპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანება-ბიუჯეტის პროექტი 2026 წლის იანვრიდან“).<br>შემუშავებული იქნას აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური შემდეგი სტანდარტული ოპერაციული პროცედურები: სათამაშოების რეცხვის, დეზინფექციის, თეთრეულის გამოცვლის, მისი მარკირების, ლოგინის წმენდის, საფენების გამოსაცვლელი მაგიდების დასუფთავების, სანიტარული კვანძის და მისი ინვენტარის, სა. კვანძის დასალაგებელი ინვენტარის, ჯგუფური ოთახების მაგიდებისა და სკამების ჯეროვანი დასუფთავების თაობაზე. განსაზღვრული იქნას პროცესზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები. მოხდეს ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტირება | | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს დაწესებულებისთვის ყველა საჭირო ინვენტარის (სათამაშოები, თეთრეული, ლოგინი, საფენის გამოსაცვლელი მაგიდები, ელექტროსაშრობები ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერები, სან.კვანძის დასალაგებელი ინვენტარი, მაგიდები, სკამები) შეძენა და აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური სტანდარტული ოპერაციული პროცედურების ( სათამაშოების რეცხვის, დეზინფექციის, თეთრეულის გამოცვლის, მისი მარკირების, ლოგინის წმენდის, საფენების გამოსაცვლელი მაგიდების დასუფთავების, სანიტარული კვანძის და მისი ინვენტარის, სა. კვანძის დასალაგებელი ინვენტარის, ჯგუფური ოთახების მაგიდებისა და სკამების ჯეროვანი დასუფთავების თაობაზე) შემუშავება, პროცესზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირების განსაზღვრა, ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტირება. |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოები ყოველდღიურად იწმინდება და ირეცხება წყლით, ჯაგრისით, საპნით ან 2%-იანი სასმელი სოდის ხსნარით, ხოლო სკოლამდელი ასაკის (2 წლის ზევით) ბავშვების სათამაშოები უნდა ირეცხებოდეს ყოველ მეორე დღეს (თოჯინების ტანსაცმელი - გაჭუჭყიანების შესაბამისად), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშოებს დეზინფექცია უტარდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ქლორამინის 0,5%-იანი ხსნარით ან 0,5%-იანი ქლორის ხსნარით 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ ირეცხება და შრება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | თეთრეულის გამოცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | თეთრეული მარკირებულია ჯგუფებისა და ბავშვების მიხედვით. სუფთა და ჭუჭყიანი თეთრეული ინახება ერთმანეთსიგან განცალკევებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ლოგინი (ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები) ნიავდება გენერალური დასუფთავებისას და უტარდება ქიმიური წმენდა დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხალიჩები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველდღიურად იწმინდება მტვერსასრუტით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით იწმინდება სველი ჯაგრისით და უტარდება ქიმიური წმენდა, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საფენების გამოსაცვლელი მაგიდები, საბავშვო ქვეშაგები, მუშამბები, მანეჟის საფარველი ექვემდებარება რეცხვას საპნიანი წყლით დღეში ორჯერ. ფეკალიებით დაბინძურების შემთხვევაში, გასუფთავებული ადგილები დამატებით იწმინდება 1%-იანი სადეზინფექციო ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სანიტარულ კვანძში იატაკი, ხელსაბანი ნიჟარები და უნიტაზები/პისუარები ტექნიკურად გამართულია და ირეცხება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ დღეში ორჯერ, თბილი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, ლაქების მოსაცილებლად არანაკლებ თვეში ორჯერ ირეცხება შესაბამისი პრეპარატით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი ბავშვებისთვის და პერსონალისთვის (WASH ინდიკატორი) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებული ყველა ხელსაბანი უზრუნველყოფილია ხელის გასამშრალებლით (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და უკონტაქტო ხელმისაწვდომობის თავსახურიანი ნაგვის ურნით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებულ ყველა სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილია ტუალეტის ქაღალდით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა | ☑ | ☐ | ☐ | | | | | |
| | სანიტარული კვანძის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებულია და ინახება სპეციალურ კარადაში სანიტარული კვანძის სიახლოვეს. ინვენტარი ხმარების შემდეგ ირეცხება ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება პირვანდელი შეფუთვით (რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით) ბავშვებისათვის და გარეშე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველი მოხმარების შემდეგ ირეცხება გამდინარე წყლით, ყოველ დღე ირეცხება თბილი საპნიანი წყლით, ხოლო ყოველი კვირის ბოლოს, 30 წუთის მანძილზე მუშავდება 1%-იანი ქლორამინის ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)ეპიდსაშიში სიტუაციის დროს ყოველი მოხმარების შემდეგ, 30 წთ-ის განმავლობაში მუშავდება 1%-იანი ქლორის ხსნარით, ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული წესითა და სადეზინფექციო საშუალებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მაგიდები და სკამები ჯგუფურ ოთახებში იწმინდება ცხელი წყლითა და საპნით, ხოლო ეპიდჩვენებისას მუშავდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | **შენობის გარე სივრცე** | | | | | | | | |
| | დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში არსებული აღჭურვილობა (მაგიდები, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ეზოში არსებული აღჭურვილობების (მაგიდა, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) დასუფთავების, გარე სივრცის გენერალური დასუფთავების, ეზოს მორწყვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები.<br>ეზოში არსებული საქვიშეები არ არის აღჭურვილი დახურვის მექანიზმით. დაწესებულებას არ აქვს ქვიშის შეცვლის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა.<br>დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული წინასწარ განსაზღვრული წესი, საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემის დასუფთავებასთან დაკავშირებით, რაც უნდა დასტურდებოდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით.<br>ინტერვიუთი ირკვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში გაერთიანება ახორციელებს ერთჯერადი ხელშეკრულების გაფორმებას მომსახურების გაწევისთვის- შესაბამის კომპანიასთან. | შემუშავებული იქნას აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური შემდეგი სტანდარტული საოპერაციო პროცედურები: გარე ეზოში არსებული აღჭურვილობების (მაგიდა, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) დასუფთავების, გარე სივრცის გენერალური დასუფთავების, ეზოს მორწყვის სოპ-ი. განსაზღვრული იქნას პროცესზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები.<br>ეზოში არსებული საქვიშეები აღჭურვილი იქნას დახურვის მექანიზმით. დაწესებულებამ შეიმუშაოს ქვიშის შეცვლის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა და აწარმოოს შესაბამისი ჩანაწერები.<br>დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სოპ-ი, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემის დამუშავების პროცედურას გარკვეული პერიოდულობით ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კომპანიის მეშვეობით. | | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს დაწესებულებისთვის რელევანტური სოპ-ების (გარე ეზოში არსებული აღჭურვილობების, მაგიდა, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონების- დასუფთავების, გარე სივრცის გენერალური დასუფთავების, ეზოს მორწყვის) შემუშავება, პროცესზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირების განსაზღვრა; ეზოში არსებული საქვიშეების დახურვის მექანიზმით აღჭურვა, ქვიშის შეცვლის სტანდარტული ოპერაციული პროცედურის შემუშავება და შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემის დამუშავების პროცედურის შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპანიის მიერ მისი განხორციელების უზრუნველყოფა. |
| | დაწესებულების ეზოს/გარე სივრცის გენერალური დასუფთავება ხდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | წელიწადის თბილ და ცხელ სეზონებზე ეზოს მორწყვა ხდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/გარე სივრცეში არსებულ საქვიშე აღჭურვილია დახურვის მექანიზმით. ქვიშის შეცვლა ყუთებში ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, რაც დასტურდება სტანდარტული სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საასენიზაციო ორმოს/სეპტიკური ავზის დაცლა ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით. დაცლის შემდეგ მუშავდება სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **7** | **მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებებში ყოველდღიურად ხორციელდება მყარი ნარჩენების შეგროვება ჯგუფურ ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და ხდება მათი უსაფრთხო გატანა შენობიდან, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | ვიზიტის პერიოდში შენობა და გარე სივრცეები არ იყო უზრუნველყოფილი ნარჩენების შესაგროვებელი ურნების საჭირო რაოდენობით და ნაგავშემკრები ეზოს კონტეინერებით.<br>დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა: მყარი ნარჩენების შეგროვება-გატანის, ტერიტორიის დასუფთავების, ნაგვის ურნების დაცლის, მათი დასუფთავებისა და დეზინფექციის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები.<br>დაწესებულებამ წარმოადგინა დერატიზაციისა და დეზინსექციის განმახორციელებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება (N42 ; 16.04.2026წ.), რომელიც ითვალისწინებს ნაგავშემკრები კონტეინერების განთავსების სივრცის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდულ დამუშავებას ბაქტერიების, მწერებისა და მღრნელების საწინააღმდეგო პრეპარატებით. | დაწესებულებას გააჩნია მზაობა და გათვალისწინებული აქვს ფინანსური რესურსი : მყარი ნარჩენების შესაგროვებელი ურნების და ნაგავშემკრები კონტეინერების შესაძენად. (წარმოდგენილი იქნა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი)<br>შემუშავებული იქნას აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური სტანდარტული საოპერაციო პროცედურები: მყარი ნარჩენების შეგროვება-გატანის, ტერიტორიის დასუფთავების, ნაგვის ურნების დაცლის, ნაგავშემკრების კონტეინერების და მათი განთავსების ადგილების დასუფთავებისა და დეზინფექციის თაობაზე. განსაზღვრული იქნას პროცესზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები. | | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს მყარი ნარჩენების შესაგროვებელი ურნების და ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა და აღნიშნული დაწესებულებისთვის რელევანტური სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (მყარი ნარჩენების შეგროვება-გატანის, ტერიტორიის დასუფთავების, ნაგვის ურნების დაცლის, ნაგავშემკრების კონტეინერების და მათი განთავსების ადგილების დასუფთავებისა და დეზინფექციის თაობაზე) შემუშავება, პროცესზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირების განსაზღვრა. |
| | დაწესებულების ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება, ხოლო ნარჩენები გროვდება და იყრება ეზოში/ეზოს მიმდებარედ არსებულ ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრებ) კონტეინერებში, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის ურნები. ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების და ნაგვის ურნების დაცლა ხდება მათი 3/4 -ით გავსებისთანავე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები არის თავსახურიანი, არ არის გადავსებული და განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილას თავდახურულ მდგომარეობაში | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნები, ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები და მათი განთავსების ადგილები დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60 წთ-ის განმავლობაში ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების განთავსების სივრცის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდულ დამუშავებას მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

კითხვარის შევსების პროცესში, აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
2026 წლის 29 – 30 აპრილი
დაგეგმილი საავტორიზაციო ვიზიტის დღის წესრიგი

**დაწესებულების სტატუსის მაძიებლი საფირმო სახელწოდება:** ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება;

**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება:** ხაშურის მუნიციპალიტეტის № 19 საბავშვო ბაღი ( სურამი, ჩუმათელეთის დასახლება)

**ფორმატი:** პირისპირი

**ვიზიტის მიზანი:** „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების მე-6 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| ვიზიტის პირველი დღე<br>29 აპრილი | | |
|---|---|---|
| საათი | აქტივობა | პასუხისმგებელი ექსპერტები |
| 11:00-14:00 | შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან | ხარისხის ექსპერტი, კურიკულუმის ექსპერტი |
| | მისიის, ხედვის და ღირებულებების განხილვა, ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტების/აქტივობების შესწავლა | ხარისხის ექსპერტი |
| | სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა, ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტების/აქტივობების შესწავლა | ხარისხის ექ სპერტი |
| | დაწესებულების დეკლარირებული კურიკულუმის/კურიკულუმის ჩარჩოს, კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტების/მასალების, კურიკულუმის გაზიარების ამსახველი დოკუმენტების/მასალების შესწავლა | კურიკულუმის ექსპერტი |
| | საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, დღის განრიგის, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით | ხარისხის ექსპერტი, კურიკულუმის ექსპერტი |

| | | |
|---|---|---|
| | უზრუნველყოფის მექანიზმის, კურიკულუმის მიზნების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის დოკუმენტაციის, წიგნების აღრიცხვის ჟურნალის/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტის, ინვენტარის აღწერის დოკუმენტაციის/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის/მიღება-ჩაბარების აქტების მტკიცებულებების/ამსახველი დოკუმენტების შესწავლა | |
| 14:00-15:00 | შესვენება | |
| 15:00 – 17:30 | დაწესებულების კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკის შესწავლა | კურიკულუმის ექსპერტი |
| | დაწესებულების სტრუქტურის/ორგანოგრამის, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ამსახველი დოკუმენტების, პერსონალის პირადი საქმეების, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის, შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებების/დანიშვნის აქტების, შინაგანაწესის, პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცის, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული მასალების/აქტივობების, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის/პროფესიული განვითარების გეგმის მტკიცებულებების განხილვა | ხარისხის ექსპერტი |
| | დაწესებულების სამოქმედო გეგმის, ბიუჯეტის მტკიცებულებების/ამსახველი დოკუმენტების შესწავლა. | ხარისხის ექსპერტი |
| | დაწესებულების მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალის და მათი აღმწერების, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის,<br>ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტის, პერსონალის პირადი საქმეების შესწავლა | ხარისხის ექსპერტი |
| 17:30 – 18:30 | ინტერვიუ<br>• საბავშო ბაღის გამგე;<br>• მისია, ხედვის, ღირებულების და სტრატეგიულ დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;<br>• მეთოდისტი;<br>• აღმზრდელები;<br>• აღმზრდელის თანაშემწე;<br>• მუსიკის მასწავლებელი;<br>• ფსიქოლოგი;<br>• ბაღის საკონსულტაციო საბჭოს წევრი; | ხარისხის ექსპერტი, კურიკულუმის ექსპერტი |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| 18:30 - 19:00 | ვიზიტის დღის შეჯამება და შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების გაცნობა. | ხარისხის ექსპერტი, კურიკულუმის ექსპერტი |

ვიზიტის მეორე დღე
30 აპრილი

| საათი | აქტივობა | პასუხისმგებელი ექსპერტები |
|---|---|---|
| 11:00-14:00 | დაწესებულების კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი მექანიზმის განხილვა, ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილის შესწავლა, პერსპექტიული მენიუსა და შესაბამისი კერძების კარტოთეკის განხილვა, აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების შესწავლა, კვების მიწოდების და უსაფრთხოების საკითხების განხილვა. | კვების დარგში ექსპერტი |
| | დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმისა, სტანდარტული ოპერაციული პროცედურებისა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემის შესწავლა. | სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი |
| | დაწესებულების საჯარო რეესტრიდან ამონაწერის, შენობა-ნაგებობის სქემის, შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ დასკვნის (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) დოკუმენტების/მტკიცებულებების შესწავლა. | ხარისხის ექსპერტი |
| | დაწესებულების საკომუნიკაციო არხების, ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის ამსახველი დოკუმენტების/პროცესების შესაბამისი მტკიცებულებების შესწავლა. | კურიკულუმის ექსპერტი |
| 14:00-15:00 | შესვენება | |
| 15:00-17:30 | დაწესებულების ინფრასტრუქტურის დათვალიერება (მათ შორის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო გარემოსა და საგანმანათლებლო რესურსის შემოწმება, სანიტარულ-ჰიგიენური და კვების დარგის მიმართულებით შესაბამისი სათავსების დათვალიერება) | ყველა ექსპერტი |

| | | |
|---|---|---|
| | ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარის შევსება | **ხარისხის ექსპერტი** |
| | საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარის შევსება | **კვების დარგში ექსპერტი** |
| | დაწესებულების საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარის შევსება | **სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი** |
| | დაწესებულების პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის გაწერილი პროცედურების, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაციის, ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის/ტრანზიციის მექანიზმების შესწავლა, | **ხარისხის ექსპერტი** |
| 17:30 -18:30 | **ინტერვიუ**<br>• რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი;<br>• გაერთიანების ხელმძღვანელი;<br>• ბაღის გამგე;<br>• დირექტორის მიერ დანიშნული სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის შესასრულებელ ღონისძიებაზე პასუხისმგებელი პირები;<br>• მზარეული;<br>• მნე;<br>• ექთანი;<br>• შესყიდვების სპეციალისტი. | ყველა ექსპერტი |
| 18:30 – 19:00 | ვიზიტის დღის შეჯამება და შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების გაცნობა. | ყველა ექსპერტი |

შენიშვნა: წინამდებარე სამუშაო დღის წესრიგი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების მიზნით შეიძლება შეიცვალოს დაწესებულებაში ვიზიტის მსვლელობის დროს რეალურად არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

## დამატებითი დოკუმენტები

| | ხარისხის ექსპერტი |
|---|---|
| | 1.მშობლის წერილობითი ნებართვის შაბლონი (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვ.);<br><br>2. შრომითი ხელშეკრულება/დანიშვნის აქტი.(ერთი ნიმუში);<br><br>3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.(ერთი ნიმუში);<br><br>4. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი" წარმოადგენს სამუშაო (დრაფტ) ვერსიას - გთხოვთ გადმოაგზავნოთ დასრულებული ვერსია;<br><br>5. ბრზანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;<br><br>6. ბრძანება საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ;<br><br>7. „პროცესების აღწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი" და შესაბამისი ბრძანება;<br>8. „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი" და შესაბამისი ბრძანება;<br>9. დოკუმენტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" და შესაბამისი ბრძანება პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;<br>10.ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) შემუშავებული სისტემის ამსახველი დოკუმენტი;<br>11. გაერთიანების ბიუჯეტი;<br>12. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერილობის ამსახველი დოკუმენტი;<br>13. პერსონალის განვითარების გეგმა ( არსებობის შემთხვევაში); |
| | კურიკულუმის ექსპერტი |
| | • **დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი, კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.**<br>კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი: |

| | |
|---|---|
| | მუხლი 2. კურიკულუმის შერჩევა 1. კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;<br>• **კურიკულუმის დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების ამსახველი მასალა/მტკიცებულებები;**<br>მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება 1. დაწესებულება/შერჩეულ კურიკულუმ(ებ)ს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს. 2. ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: ა) მშობლები; ბ) დაწესებულების პერსონალი; გ) თემი/მუნიციპალიტეტი; დ) სხვ.<br>• **დაწესებულების დირექტორის მიერ, კურიკულუმის შეფასების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების ბრძანება;**<br>მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება<br>კურიკულუმის შეფასებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი/კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.<br>• **საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის გამოსაყენებელი, დაწესებულების მიერ შექმნილი/გამოყენებული მზა სახის ინსტრუმენტები/ცხრილები/რუბრიკები.**<br>კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი:<br>მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება;<br>• **მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი სემესტრის მიხედვით (I-სექტემბერი დეკემბერი. II-იანვარი-ივნისი.) გეგმის, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმები;**<br>• **ბ32.84250942 04/04/ 2025 გრძელვადიანი გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელი, დაწესებულების ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ბრძანება, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი.**<br>მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა<br>2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი სემესტრის მიხედვით, (I-სექტემბერი დეკემბერი. II-იანვარი-ივნისი.) რომელიც შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.<br>3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. ბ 32 84250942 04/04/ 2025 |

| | |
|---|---|
| | • ბრძანება ბ.32. 8425094001 04/04/2025; საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით დამტკიცებული, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა;<br>• ბრძანება N ბ.32. 8425094001 04/04/ 2025 საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით დამტკიცებული შეფასებისა და დაკვირვების ფორმები;<br>• ბრძანება N ბ32. 84232064 2023 წელი 25/07 საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების გუნდის შემადგენლობის განსაზღვრა;<br>• დღის განრიგები ასაკობრივი გადანაწილებით;<br>• ბრძანება N ბ32.8425343001 09/12/2025წ. მულტიდისციპლინური გუნდი; თვითშეფასება 2.2.3. ინდიკატორი;<br>• ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტის შევსებული ფორმა; |
| | სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი |
| | 1. დაწესებულების მიერ დამტკიცებული სოპ-ები<br>2. წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმი<br>3. ხელშეკრულება დასუფთავების სამსახურთან -არსებობის შემთხვევაში (ან შესაბამისი სოპი).<br>4. ხელშეკრულება დერატიზაცია დეზინსექციის განმახორციელებელ კომპანიასთან არსებობის შემთხვევაში ( ან შესაბამისი სოპ-ი).<br>5. დაწესებულებაში გამოყენებულისადეზინფექციო საშუალებების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი- არსებობის შემთხვევაში.<br>6. ხალიჩებისა და ლოგინის ქიმწმენდისთვის შესაბამის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება- არსებობის შემთხვევაში. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი:

ჯგუფის თავმჯდომარე: მიმოზა ღოლიჯაშვილი

ჯგუფის წევრი: **თამარ ლომიძე**

ჯგუფის წევრი:  სალომე ბოჭორიშვილი



ჯგუფის წევრი: თამარ ჭონიშვილი

თარიღი: 23.04.2026